

სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგება	4
მოგება-ზარალის ინდივიდუალური ანგარიშგება	5
სრული შემოსავლის ინდივიდუალური ანგარიშგება	6
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ინდივიდუალური ანგარიშგება	7
ფულადი ნაკადების ინდივიდუალური ანგარიშგება.....	8

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. შესავალი.....	9
2. მომზადების საფუძველი და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	9
3. სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევასთან დაკავშირებით გამოყენებული მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები და დაშვებები.....	21
4. სააღრიცხვო პოლიტიკაში შესული ცვლილებები და ახალი ან შეცვლილი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება	22
5. სააღრიცხვო პოლიტიკის სამომავლო ცვლილებები	23
6. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	28
7. მოთხოვნები ბანკებისა და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მიმართ.....	29
8. კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები.....	29
9. გასაყიდად გამიზნული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები.....	32
10. ძირითადი საშუალებები	33
11. საინვესტიციო ქონება.....	34
12. გადასახადები	34
13. სხვა აქტივები და ვალდებულებები	37
14. ვალდებულებები ბანკებისა და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	39
15. ვალდებულებები კლიენტების წინაშე	40
16. გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	41
17. სხვა ნასესხები სახსრები	41
18. კაპიტალი.....	42
19. პირობითი ვალდებულებები	43
20. წმინდა საკომისიო შემოსავალი	44
21. სხვა შემოსავალი	44
22. ხელფასები და სხვა საოპერაციო ხარჯი	44
23. რისკის მართვა.....	45
24. სამართლიანი ღირებულების შეფასება.....	61
25. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი.....	70
26. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები.....	74
27. ცვლილებები ფინანსური საქმიანობიდან წარმოშობილ ვალდებულებებში	76
28. კაპიტალის ადეკვატურობა	77
29. ანგარიშგების პერიოდის შემდგომი მოვლენები.....	78

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს „ვითიზი ბანკი ჯორჯიას“
აქციონერებსა და დირექტორთა საბჭოს

მოსაზრება

ჩავატარეთ სს „ვითიზი ბანკი ჯორჯიას“ (შემდგომში „ბანკი“) ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგებისგან 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ინდივიდუალური ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ინდივიდუალური ანგარიშგებისგან, ფულადი ნაკადების ინდივიდუალური ანგარიშგებისგან, და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ბანკის ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწვრილებითაა აღწერილი ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით „აუდიტორის პასუხისმგებლობა ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ ბანკისგან დამოუკიდებლები ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად, და შესრულებული გვაქვს IESBA კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

ბანკის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია გულისხმობს მმართველობის ანგარიშგებაში ასახულ ინფორმაციას, გარდა ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებისა და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნისა. სხვა ინფორმაციაზე ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია. ბანკის 2017 წლის მმართველობის ანგარიშგება ჩვენთვის ხელმისაწვდომი სავარაუდოდ გახდება აუდიტორის წინამდებარე დასკვნის თარიღის შემდეგ.

ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე გამოხატული ჩვენი მოსაზრება მთლიანად არ მოიცავს სხვა ინფორმაციას და მასთან დაკავშირებით ჩვენ არ გამოვთქვამთ რწმუნებას რამე ფორმით.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობაა გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას, როდესაც ის ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება და განვიხილოთ, არის თუ არა სხვა ინფორმაცია არსებითად შეუსაბამო ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის განმავლობაში ჩვენ მიერ მიღებულ ინფორმაციასთან, ან თუ შეიცავს სხვა არსებით უზუსტობას.

ხელმძღვანელობისა და სამეთვალყურეო საბჭოს პასუხისმგებლობა ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა შეაფასოს, აქვს თუ არა ბანკს უნარი, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებდნა საწარმომ, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, განაცხადოს ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული საკითხები და აღრიცხვისას გამოიყენოს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ბანკის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არ აქვს რეალური არჩევანი ასე რომ არ მოიქცეს.

სამეთვალყურეო საბჭო პასუხისმგებელია ბანკის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.


აუდიტორის პასუხისმგებლობა ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება იმაზე, ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის დასკვნის გამოცემა, რომელიც ჩვენს მოსაზრებას შეიცავს. გონივრული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ არა გარანტია იმისა, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას, ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა მაშინ, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად გავლენას იქონიებენ მომხმარებლების მიერ წინამდებარე ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასს-ის მიხედვით აუდიტის ჩატარების პროცესში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ▶ გამოვავლენთ და ვაფასებთ ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს, ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისთვის საფუძვლის შესაქმნელად. არსებითი უზუსტობის რისკი, რომელიც გამოწვეულია თაღლითობით, უფრო მაღალია, ვიდრე რისკი, რომელიც გამოწვეულია შეცდომით, რადგან თაღლითობა შეიძლება მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, არასწორი ინფორმაციის წარმოდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას.
- ▶ შვეისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ბანკის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ▶ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის, ასევე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების მართებულობას.
- ▶ გამოგვაქვს დასკვნა იმის შესახებ, თუ რამდენად მიზანშეწონილია ხელმძღვანელობის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე აღრიცხვის გამოყენება და, მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებაზე დაყრდნობით ვასკვნით, არსებობს თუ არა ისეთ მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი გაურკვევლობა, რაც შეიძლება სერიოზული ეჭვის საფუძველი გახდეს იმასთან დაკავშირებით, შეძლებს თუ არა ბანკი ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენას. თუ დავასკვნით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვალდებულები ვართ, აუდიტორის დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი განმარტებითი შენიშვნებზე, ან, თუ განმარტებითი შენიშვნები არ არის საკმარისი, მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. ამის მიუხედავად, სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს ბანკის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა.
- ▶ მთლიანობაში ვაფასებთ ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, თუ ასახავს ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება შესაბამისი გარიგებებს და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფდეს სამართლიან წარდგენას.

სამეთვალყურეო საბჭოს, სხვა საკითხებთან ერთად, ვატყობინებთ აუდიტის მასშტაბს და ვადებს, აგრეთვე აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვან შედეგებს, მათ შორის შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს, რომლებსაც აუდიტის პროცესში გამოვავლენთ.



რულან ხოროშვილი

შპს „იუაი საქართველოს“ სახელით

თბილისი, საქართველო

2018 წლის, 27 სექტემბერი

ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგება

31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათას ლარში)

	შენიშვნა	2017	2016	2015
აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	6	211,642	316,336	267,776
მოთხოვნები ბანკებისა და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	7	230,470	142,175	85,235
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები	8	950,476	933,764	746,392
გასაყიდად გამიზნული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	9	120,724	80,513	55,587
ძირითადი საშუალებები	10	34,650	35,434	36,185
საინვესტიციო ქონება	11	24,556	20,336	26,678
მოგების მიმდინარე საგადასახადო აქტივები		-	-	104
მოგების გადავადებული საგადასახადო აქტივები	12	1,189	1,219	-
სხვა აქტივები	13	22,485	16,237	6,092
სულ აქტივები		1,596,192	1,546,014	1,224,049
ვალდებულებები				
ვალდებულებები ბანკებისა და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	14	112,893	286,175	225,012
ვალდებულებები კლიენტების წინაშე	15	895,757	831,274	669,605
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	16	38,193	31,690	5,242
სხვა ნასესხები სახსრები	17	262,985	139,022	114,735
მოგების მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებები		1,694	1,940	-
მოგების გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები		-	-	1,574
სხვა ვალდებულებები	13	19,503	21,726	13,040
სუბორდინირებული სესხი	26	37,362	37,759	33,329
სულ ვალდებულებები		1,368,387	1,349,586	1,062,537
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	18	209,008	191,293	191,293
მიწის და შენობების გადაფასების რეზერვი		3,104	3,160	2,758
უვადო სუბორდინირებული სესხი	18	13,481	12,900	-
არარეალიზებული შემოსულობა გასაყიდად გამიზნული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდებიდან	9	568	1,550	(607)
გაუნაწილებელი მოგება		1,644	(12,475)	(31,932)
სულ კაპიტალი		227,805	196,428	161,512
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		1,596,192	1,546,014	1,224,049

ხელმოწერილი და ნებადართულია გამოსაცემად ბანკის დირექტორთა საბჭოს მიერ 2018 წლის 27 სექტემბერს:



მამუკა მენთეშაშვილი
ფინანსური დირექტორი

მოგება-ზარალის ინდივიდუალური ანგარიშგება

31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათას ლარში)

	შენიშვნა	2017	2016	2015
საპროცენტო შემოსავალი				
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები		110,646	107,594	94,657
გასაყიდად გამიზნული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები		7,636	5,195	4,236
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები		2,898	4,012	2,005
მოთხოვნები ბანკებისა და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მიმართ		1,722	15	–
		122,902	116,816	100,898
საპროცენტო ხარჯი				
ვალდებულებები კლიენტების წინაშე		(43,338)	(40,869)	(32,196)
მოთხოვნები ბანკების, საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მიმართ და სხვა ნასესხები სახსრები		(13,889)	(8,903)	(10,827)
გამოშვებული ობლიგაციების საპროცენტო ხარჯები		(1,612)	(1,155)	(63)
სუბორდინირებული სესხი		(2,937)	(2,584)	(2,365)
		(61,776)	(53,511)	(45,451)
უარყოფითი საპროცენტო განაკვეთების მქონე აქტივებით გამოწვეული ხარჯი		(130)	(66)	–
გადახდები ანაზრის დაზღვევის სისტემისთვის		(100)	–	–
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		60,896	63,239	55,447
სესხების გაუფასურების რეზერვი	8	1,653	(660)	(5,992)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი სესხის გაუფასურების რეზერვის შემდგომ		62,549	62,579	49,455
წმინდა საკომისიო შემოსავალი	20	6,540	5,125	5,020
წმინდა შემოსულობა/(ზარალი) უცხოური ვალუტიდან:				
- გარიგებებიდან		16,132	7,687	3,727
- საკურსო სხვაობებიდან		(2,659)	(3,649)	1,474
წმინდა შემოსულობა/(ზარალი)				
გასაყიდად გამიზნული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდებიდან	9	1,394	66	–
წმინდა შემოსულობა საინვესტიციო ქონების გადაფასებიდან	11	2,430	2,975	1,423
სხვა შემოსავალი	21	6,568	7,767	7,992
არასაპროცენტო შემოსავალი		30,405	19,971	19,636
თანამშრომლებზე გაწეული ხარჯი	22	(37,734)	(36,751)	(33,159)
ცვეთა	10	(3,571)	(3,726)	(3,351)
სხვა საოპერაციო ხარჯები	22	(15,706)	(14,360)	(14,769)
სხვა გაუფასურება და ანარიცხების შემობრუნება/(დარიცხვა)		435	(560)	(497)
არასაპროცენტო ხარჯი		(56,576)	(55,397)	(51,776)
მოგება მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		36,378	27,153	17,315
მოგების გადასახადის (ხარჯი)/სარგებელი	12	(4,009)	291	(2,335)
წლის მოგება		32,369	27,444	14,980

სრული შემოსავლის ინდივიდუალური ანგარიშგება

31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათას ლარში)

	შენიშვნა	2017	2016	2015
წლის მოგება		32,369	27,444	14,980
სხვა სრული შემოსავალი				
სხვა სრული შემოსავალი, რომლის შემდეგ				
პერიოდებზე მოგებად ან ზარალად				
რეკლასიფიცირებაც ხდება				
გასაყიდად გამიზნული ფასიანი ქაღალდების				
არარეალიზებული შემოსულობა	9	412	2,223	(607)
რეალიზებული შემოსულობა მოგება-ზარალის				
ანგარიშგებაში რეკლასიფიცირებული გასაყიდად				
გამიზნული საინვესტიციო ფასიანი				
ქაღალდებიდან	9	(1,394)	(66)	–
წმინდა სხვა სრული (ზარალი)/შემოსავალი,				
რომლის შემდეგ პერიოდებზე მოგებაში ან				
ზარალში რეკლასიფიცირებაც ხდება		(982)	2,157	(607)
 სხვა სრული შემოსავალი, რომლის შემდეგ				
პერიოდებზე მოგებად				
ან ზარალად რეკლასიფიცირებაც არ ხდება				
შენიშვნა-ნაგებობების გადაფასება				2,159
მოგების გადასახადით დაბეგვრის გავლენა	12	–	457	(324)
წმინდა სხვა სრული შემოსავალი, რომლის შემდეგ				
პერიოდებზე მოგებად ან ზარალად				
რეკლასიფიცირებაც არ ხდება:		–	457	1,835
წლის სხვა სრული (ზარალი)/შემოსავალი, წმინდა		(982)	2,614	1,228
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		31,387	30,058	16,208

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ინდივიდუალური ანგარიშგება

31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათას ლარში)

		სააქციო შენიშვნა	სააქციო კაპიტალი	მიწის და შენობების გადაფასების რეზერვი	გასაყიდად გამიზნული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების არარეალი- ზებული შემოსულობა/ (ზარალი)	უვადო სუბორდი- ნირებული სესხი	გაუნაწი- ლებელი მოგება	სულ საკუთარი კაპიტალი
2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით			171,293	943	–	–	(46,932)	125,304
წლის მთლიანი სრული შემოსავალი			–	1,835	(607)	–	14,980	16,208
სააქციო კაპიტალის გამოშვება	18		20,000	–	–	–		20,000
ქონების გადაფასების რეზერვის ცვეთა მოგების გადასახადის გათვალისწინებით			–	(20)	–	–	20	–
2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით			191,293	2,758	(607)	–	(31,932)	161,512
წლის მთლიანი სრული შემოსავალი			–	457	2,157	–	27,444	30,058
უვადო სუბორდინირებული სესხის აღება			–	–	–	13,089	–	13,089
უვადო სუბორდინირებულ სესხზე ვალუტის კონვერტაცია			–	–	–	(189)	189	–
გამოცხადებული დივიდენდები			–	–	–	–	(8,231)	(8,231)
ქონების გადაფასების რეზერვის ცვეთა მოგების გადასახადის გათვალისწინებით			–	(55)	–	–	55	–
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	18		191,293	3,160	1,550	12,900	(12,475)	196,428
წლის მთლიანი სრული შემოსავალი			–	–	(982)	–	32,369	31,387
უვადო სუბორდინირებულ სესხზე გადახდილი თანხები	18		–	–	–	–	(10)	(10)
უვადო სუბორდინირებულ სესხზე ვალუტის კონვერტაცია			–	–	–	581	(581)	–
სააქციო კაპიტალის გამოშვება	18		17,715	–	–	–	–	17,715
გამოცხადებული დივიდენდები	18		–	–	–	–	(17,715)	(17,715)
ქონების გადაფასების რეზერვის ცვეთა მოგების გადასახადის გათვალისწინებით			–	(56)	–	–	56	–
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით			209,008	3,104	568	13,481	1,644	227,805

ფულადი ნაკადების ინდივიდუალური ანგარიშგება

31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათას ლარში)

	შენიშვნა	2017	2016	2015
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან				
მიღებული პროცენტი		124,689	112,558	98,859
გადახდილი პროცენტი		(59,267)	(53,045)	(42,248)
მიღებული საკომისიო		17,972	15,042	12,566
გადახდილი საკომისიო		(9,789)	(9,023)	(7,772)
უცხოურ ვალუტაში შემდგარი გარიგებებიდან წმინდა რეალიზებული შემოსულობა		14,740	6,361	6,664
სხვა მიღებული შემოსავალი		5,962	7,339	7,057
გადახდილი ხელფასები და თანამშრომლებზე გაწეული ხარჯები		(38,309)	(35,008)	(33,417)
გადახდილი სხვა საოპერაციო ხარჯები		(18,526)	(12,856)	(14,231)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილებებამდე		37,472	31,368	27,478
<i>საოპერაციო აქტივების წმინდა (ზრდა)/კლება</i>				
მოთხოვნები ბანკებისა და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მიმართ		(88,021)	(55,471)	(20,444)
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები		(31,900)	(131,420)	(31,814)
სხვა აქტივები		(835)	(3,199)	424
<i>საოპერაციო ვალდებულებების წმინდა ზრდა/(კლება)</i>				
ვალდებულებები ბანკებისა და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მიმართ		(166,749)	41,917	152,044
ვალდებულებები კლიენტების წინაშე		73,988	138,267	(109,710)
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები		6,066	25,729	5,174
სხვა ვალდებულებები		(1,930)	4,146	1,522
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები მოგების გადასახადის გადახდამდე		(171,909)	51,337	24,674
გადახდილი მოგების გადასახადი		(3,443)	–	–
საოპერაციო საქმიანობაში (გამოყენებული)/საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		(175,352)	51,337	24,674
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან				
გასაყიდად გამიზნული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების შესყიდვა		(196,952)	(75,153)	(148,885)
შემოდინება გასაყიდად გამიზნული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების გაყიდვიდან და გამოსყიდვიდან		155,496	54,754	167,407
ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების შესყიდვა		(5,348)	(9,767)	(5,495)
შემოსულობა ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან		26	7	–
შემოდინება საინვესტიციო ქონების გაყიდვიდან		4,833	11,795	5,667
საინვესტიციო ქონების შესყიდვა		(2,072)	(2,179)	(3,147)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(44,017)	(20,543)	15,547
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები				
საწესდებო კაპიტალის ზრდა	18	17,715	–	20,000
სხვა ნასესხები სახსრებიდან ზრდა		1,615,546	280,457	322,108
სხვა ნასესხები სახსრების დაფარვა		(1,501,531)	(271,087)	(328,715)
გადახდილი დივიდენდები	18	(17,246)	(8,013)	(1)
უვადო სუბორდინირებული სესხიდან მიღებული შემოსავალი / (უვადო სუბორდინირებულ სესხზე გადახდილი პროცენტი)	18	(10)	13,089	–
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		114,474	14,446	13,392
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		201	3,320	1,542
წმინდა ცვლილება ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში		(104,694)	48,560	55,155
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, პერიოდის დასაწყისში	6	316,336	267,776	212,621
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, პერიოდის ბოლო	6	211,642	316,336	267,776

(ათას ლარში)

1. შესავალი

სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“ (შემდგომში „ბანკი“) 1995 წლის 7 აპრილს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ჩამოყალიბდა სააქციო საზოგადოებად „გაერთიანებული ქართული ბანკის“ სახელით, რეგისტრაციის ნომერით 202906427. 2006 წლის 7 დეკემბერს ბანკმა შეიცვალა სახელი და ეწოდა „ვითიბი ბანკი ჯორჯია“. ბანკი საქმიანობს საქართველოს ეროვნული ბანკის (შემდგომში მოხსენიებული, როგორც „სებ“) მიერ 1995 წლის 19 მაისს გაცემული ზოგადი საბანკო ლიცენზიით.

ბანკი იღებს ანაზრებს მოსახლეობისგან, გასცემს სესხებს, ახორციელებს ფულად გადარიცხვებს საქართველოში და საზღვარგარეთ, აწარმოებს ვალუტის გაცვლით ოპერაციებს და თავის კორპორატიულ და საცალო კლიენტებს სთავაზობს სხვადასხვა საბანკო მომსახურებას. ბანკის სათავე ოფისი მდებარეობს თბილისში, საქართველოში. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკს აქვს 20 ფილიალი (10 მათგანი თბილისში) და 18 სერვისცენტრი. 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკს ჰქონდა 20 ფილიალი (10 მათგანი თბილისში) და 16 სერვისცენტრი. 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკს ჰქონდა 20 ფილიალი (10 მათგანი თბილისში) და 15 სერვისცენტრი.

ბანკის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, ჭანტურიას ქ. 14.

2017, 2016 და 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის მიმოქცევაში გამოშვებული აქციების 1%-ზე მეტს ფლობდნენ შემდეგი აქციონერები:

აქციონერი	2017 %	2016 %	2015 %
დსს „ბანკი ვეტბე“	97.38	97.14	97.14
შპს „ლაკარპა ენტერპრაიზისი“	1.47	1.61	1.61
სხვა	1.14	1.25	1.25
სულ	100.0	100.0	100.0

დსს „ბანკი ვეტბე“, (შემდგომში „მშობელი ბანკი“) არის ბანკის პირდაპირი მშობელი კომპანია. ბანკის საბოლოო მაკონტროლებელ მხარე არის რუსეთის ფედერაციის მთავრობა, რომელიც მოქმედებს „ქონების ფედერალური სააგენტოს“ მეშვეობით და 2017 წლის 31 დეკემბრისთვის ფლობს მშობელი ბანკის გამოშვებული და მიმოქცევაში მყოფი აქციების 60.93%-ს (2016 წ.: 60.93%, 2015 წ.: 60.90%).

2017, 2016 და 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის სამეთვალყურეო და დირექტორთა საბჭოს წევრები არ ფლობდნენ ბანკის აქციებს.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის თანამშრომელთა რაოდენობა შეადგენდა 1,209-ს (2016 წ.: 1,160, 2015 წ.: 1,194).

ეს ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადდა სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“-თვის. (შემდგომში ერთად მოხსენიებული, როგორც „ბანკი“).

2. მომზადების საფუძველი და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა**მომზადების საფუძველი**

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება არის პირველი ანგარიშგება, რომელიც ბანკმა მოამზადა და ის შეესაბამება ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბასს“) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების საერთაშორისო კომიტეტის („ფაისკ“) ინტერპრეტაციებს, რომლებიც ძალაშია 2017 წლის ანგარიშგებისთვის. ეს ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის 2017 წლის 18 სექტემბრით დათარიღებული #15 ბრძანების მოთხოვნების შესაბამისად. ბანკმა გამოიყენა ფასს 1-ით

(ათას ლარში)

2. მომზადების საფუძველი და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)**მომზადების საფუძველი (გაგრძელება)**

გათვალისწინებული გამოწვევები საკუთარ სხვაობის რეზერვთან მიმართებით, რომელიც, ბანკის აზრით, ფასს-ზე გადასვლის თარიღისთვის ნულს შეადგენდა.

2018 წლის 15 მარტს ბანკმა მოამზადა 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბასს“) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების საერთაშორისო კომიტეტის („ფაისკ“) ინტერპრეტაციების შესაბამისად, რომლებიც ძალაშია 2017 წლის ანგარიშგებისთვის. ეს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ხელმისაწვდომია ბანკის ოფიციალურ ვებგვერდზე (www.vtb.ge).

ბანკს აღრიცხვის წარმოება და მარეგულირებელი ორგანოებისთვის ფინანსური ანგარიშგების მომზადება ლარში მოეთხოვება. ეს ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდით, შემდეგი გამოწვევებით:

- ფინანსური აქტივებისა და საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების, წარმოებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების, საინვესტიციო უძრავი ქონების სამართლიანი ღირებულებით შეფასება.
- სასაქონლო-მატერიალური მარაგების შეფასება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ათას ლარში („ლარი“) თუ სხვა რამე არ არის მითითებული.

წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის გამოყენებული ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკა აღწერილია ქვემოთ.

ფინანსური აქტივები*პირველადი აღიარება*

ბასს 39-ის სტანდარტის შესაბამისად, ფინანსური აქტივები კლასიფიცირებულია სამართლიანი ღირებულებით შეფასებულ და მოგებასა და ზარალში ასახულ ფინანსურ აქტივებად, სესხებად და მოთხოვნებად, დაფარვის ვადამდე მფლობელობაში არსებულ ფასიან ქაღალდებად ან გასაყიდად გამიზნულ ფინანსურ აქტივებად. ფინანსური აქტივების თავდაპირველი აღიარებისას მათი აღრიცხვა ხდება სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება უშუალოდ გარიგებასთან დაკავშირებული ხარჯები მხოლოდ იმ ინვესტიციების შემთხვევაში, რომლებიც არ არის შეფასებული სამართლიანი ღირებულებით და ასახული მოგებაში ან ზარალში. ბანკი განსაზღვრავს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარების შემდგომ და მოგვიანებით შეიძლება მოახდინოს ფინანსური აქტივების რეკლასიფიცირება ქვემოთ მითითებულ შემთხვევებში.

აღიარების თარიღი

ფინანსური აქტივების ყოველგვარი ყიდვა-გაყიდვა ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში აღიარებულია გარიგების თარიღით, ანუ იმ თარიღით, როდესაც ბანკმა აქტივის შესყიდვის ან გაყიდვის ვალდებულება იკისრა. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ყიდვა-გაყიდვა ნიშნავს ფინანსური აქტივების ისეთ ყიდვა-გაყიდვას, რაც მოითხოვს აქტივების გადაცემას კანონმდებლობით ან საბაზრო პრაქტიკით განსაზღვრულ ვადაში.

სესხები და მისაღები ანგარიშები

სესხები და მისაღები ანგარიშები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, ფიქსირებული ან განსაზღვრული გადახდებით, რომლებიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. აღნიშნული ინსტრუმენტები არ არის განკუთვნილი სასწრაფო ან მოკლევადიანი გადაყიდვისთვის, და არ არის კლასიფიცირებული, როგორც სავაჭრო ფასიანი ქაღალდები ან გასაყიდად გამიზნული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები. აღნიშნული აქტივები აღრიცხება ამორტიზებული ღირებულებით მოქმედი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. შემოსულობა და ზარალი აღიარებულია მოგება-ზარალის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში, იმ შემთხვევაში თუ სესხების და მისაღები ანგარიშების აღიარება შეწყდება, გაუფასურდება ან ამორტიზდება.

(ათას ლარში)

2. მომზადების საფუძველი და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)**ფინანსური აქტივები (გაგრძელება)***პირველადი აღიარება (გაგრძელება)**გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივები*

გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივები ის არაწარმოებული ფინანსური აქტივებია, რომლებსაც ბანკი გასაყიდად ფლობს ან არ არის გათვალისწინებული რომელიმე სხვა კატეგორიაში. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივების შეფასება ხდება სამართლიანი ღირებულებით, ხოლო

შემოსულობისა და ზარალის აღიარება ხდება სხვა სრულ შემოსავალში ინვესტიციის აღიარების შეწყვეტის ან გაუფასურების დრომდე, როდესაც კუმულაციური მოგება-ზარალი, რომელიც მანამდე სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იყო ასახული, რეკლასიფიცირდება მოგება-ზარალის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში. თუმცა, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით გამოანგარიშებული საპროცენტო შემოსავლების აღიარება ხდება ინდივიდუალურ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

თუ ბანკს აქვს სურვილი და შესაძლებლობა, ფლობდეს გასაყიდად გამიზნულ საინვესტიციო ფასიან ქაღალდებს მათი დაფარვის ვადამდე, ისინი შეიძლება იყოს რეკლასიფიცირებული, როგორც დაფარვის ვადამდე მფლობელობაში არსებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები. ამ შემთხვევაში, ფასიანი ქაღალდების სამართლიანი ღირებულება რეკლასიფიკაციის თარიღის მდგომარეობით გახდება ამ ქაღალდების ახალი ამორტიზებული ღირებულება. დაფარვის ფიქსირებული ვადის მქონე ინსტრუმენტების გადაფასების რეზერვები, რეკლასიფიკაციის თარიღისათვის, ამორტიზებული უნდა იქნას მოგებაში ან ზარალში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით ამ ფასიანი ქაღალდების დაფარვის ვადამდე.

სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარებისას მათი აღრიცხვა ხდება სამართლიანი ღირებულებით, და ის ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც არ არის შეფასებული სამართლიანი ღირებულებით და ასახული მოგებაში ან ზარალში, კორექტირდება გარიგებასთან პირდაპირ დაკავშირებული ხარჯებით.

თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულების საუკეთესო შეფასება არის გარიგების ფასი. თუ ბანკი გადაწყვეტს, რომ თავდაპირველი აღიარებისას შეფასებული სამართლიანი ღირებულება განსხვავდება გარიგების ფასისგან, მაშინ:

- ▶ თუ სამართლიანი ღირებულება დასტურდება აქტიურ ბაზარზე მსგავსი აქტივის ან ვალდებულების კოტირებული ფასით (ე. ი. 1 დონის მონაცემი) ან ეყრდნობა შეფასების მეთოდს, რომელიც გამოიყენებს მხოლოდ საბაზრო ინფორმაციას, მაშინ ბანკი აღიარებს სხვაობას თავდაპირველი აღიარებისას შეფასებულ სამართლიან ღირებულებასა და გარიგების ფასს შორის, როგორც შემოსულობას ან ზარალს.
- ▶ ყველა დანარჩენ შემთხვევაში ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი შეფასება დაკორექტირდება, რომ გადაავადოს სხვაობა თავდაპირველი აღიარებისას შეფასებულ სამართლიან ღირებულებასა და გარიგების ფასს შორის. თავდაპირველი აღიარების შემდეგ ბანკი ამ გადავადებულ სხვაობას აღიარებს შემოსულობას ან ზარალს მხოლოდ მაშინ, როდესაც მონაცემები გახდება ბაზარზე მოპოვებადი, ან როდესაც ინსტრუმენტების აღიარება შეწყდება.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება ნაღდი ფულისგან, ეროვნული ბანკისადმი (სავალდებულო რეზერვების გამოკლებით) და საკრედიტო დაწესებულებებისადმი არსებული მოთხოვნებისაგან, რომელთაც აქვთ განთავსებიდან 90 დღის ვადა და თავისუფალნი არიან საკონტრაქტო ვალდებულებებისაგან.

(ათას ლარში)

2. მომზადების საფუძველი და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)**წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები**

ჩვეულებრივი ბიზნესსაქმიანობისას ბანკი წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტებით ახორციელებს ოპერაციებს, რომლებშიც ძირითადი წილი უკავია სავალუტო ფორვარდებსა და სვოპებს. ამგვარი ფინანსური ინსტრუმენტები შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით. სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება ფასწარმოქმნის მოდელის შესაბამისად, სადაც გათვალისწინებულია შესაბამისი ინსტრუმენტის მიმდინარე საბაზრო და საკონტრაქტო ფასი და სხვა ფაქტორები. წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები აისახება, როგორც აქტივები, როდესაც მათი სამართლიანი ღირებულება დადებითია, და როგორც ვალდებულებები, როცა მათი სამართლიანი ღირებულება უარყოფითია. ამ ინსტრუმენტებიდან მიღებული შემოსულობა და ზარალი აისახება მოგება-ზარალის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში, როგორც სავალუტო ოპერაციებიდან წმინდა შემოსავალი/(ზარალი).

ნასესხები სახსრები

გამოშვებული ფინანსური ინსტრუმენტები ან მათი კომპონენტები კლასიფიცირდება ვალდებულებების სახით მაშინ, როდესაც მფლობელის წინაშე საკონტრაქტო გარიგებების შედეგად ბანკს წარმოეშობა ვალდებულება, რომ გადაიხადოს ფული ან ფინანსური ინსტრუმენტი ან სხვაგვარად დააკმაყოფილოს ეს ვალდებულება, გარდა განსაზღვრული ფულადი თანხის ან სხვა ფინანსური ინსტრუმენტის სანაცვლოდ საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტების განსაზღვრული რაოდენობის მიღებისა. ამგვარი ინსტრუმენტები მოიცავს ვალდებულებებს ბანკებისა და საერთაშორისო ფინანსური ინსტრუმენტების, კლიენტების მიმართ, სხვა ნასესხებ სახსრებსა და სუბორდინირებულ სესხებს. აღნიშნული თავდაპირველად აღიარებულია მიღებული საფასურის სამართლიანი ღირებულებით, რასაც აკლდება პირდაპირ დაკავშირებული გარიგების ხარჯები. თავდაპირველი აღიარების შემდეგ სესხების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შემოსულობისა და ზარალის აღიარება მოგება-ზარალის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში ხდება ვალდებულების აღიარების შეწყვეტისას, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესში.

საკრედიტო ინსტიტუტების წინაშე ვალდებულება წარმოადგენს თანხებს, რომლებიც მოზიდულია ბანკის ლიკვიდურობის მართვის მიზნით. ხოლო სხვა ნასესხები სახსრები მოიცავს თანხებს, რომელიც მიღებულია საერთაშორისო საკრედიტო ინსტიტუტებთან დადებული შესაბამისი ხელშეკრულებების თანახმად ძირითადი საქმიანობის მიზნებისთვის და ბანკის კლიენტების საქმიანობის დაფინანსებისათვის.

საოპერაციო იჯარა – ბანკი, როგორც მოიჯარე

აქტივების იჯარა, რომელთან მიმართებაშიც მფლობელობის რისკებიც და სარგებელიც მეიჯარის ხელშია, კლასიფიცირებულია, როგორც საოპერაციო იჯარა. საოპერაციო იჯარის საიჯარო თანხები აისახება წრფივი მეთოდით, როგორც ხარჯი იჯარის პერიოდში და შესულია სხვა საოპერაციო ხარჯებში.

საოპერაციო იჯარა – ბანკი, როგორც მეიჯარე

ბანკი საოპერაციო იჯარის აქტივებს წარმოადგენს ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აქტივების ხასიათის მიხედვით. საოპერაციო იჯარიდან საიჯარო შემოსავლის აღიარება მოგებაში ან ზარალში ხდება წრფივი მეთოდით, იჯარის ვადის განმავლობაში. მოიჯარისათვის წამახალისებელ ფაქტორებზე ჯამური დანახარჯის აღიარება ხდება, როგორც საიჯარო შემოსავლის წრფივი მეთოდით შემცირება იჯარის ვადის განმავლობაში. საოპერაციო იჯარიდან შემოსავლების მიღების თავდაპირველი პირდაპირი ხარჯები საიჯარო აქტივების საბალანსო ღირებულებას ემატება.

(ათას ლარში)

2. მომზადების საფუძველი და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)**ფინანსური აქტივების გაუფასურება**

ბანკი თითოეული საანგარიშგებო თარიღით ასახავს ფინანსური აქტივებისა ან ფინანსური აქტივების ბანკის გაუფასურებას. ფინანსური აქტივი ან ფინანსური აქტივების ბანკი გაუფასურებულად განიხილება მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება ერთი ან მეტი მოვლენის შედეგად, რომელსაც ადგილი ჰქონდა აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ („ზარალის დადგომის შემთხვევა“) და ზარალის დადგომის ეს შემთხვევა გავლენას ახდენს ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მომავალში მოსალოდნელ ნაკადებზე, რომელთა სარწმუნოდ განსაზღვრაც შესაძლებელია. გაუფასურების არსებობის ობიექტური ნიშანი შეიძლება იყოს ის ფაქტი, რომ მევალე ან მევალეთა ბანკი განიცდის მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეებს, არღვევს სესხის პროცენტის ან ძირითადი თანხის გადახდის ვალდებულებას, არსებობს გაკოტრების ან სხვა სახის ფინანსური რეორგანიზაციის მაღალი ალბათობა და არსებული მონაცემები მიუთითებს ფულადი სახსრების მოსალოდნელი მომავალი ნაკადების შემცირებაზე, მაგალითად, როგორცაა ცვლილებები ვადაგადაცილებული გადახდების დონეში ან ეკონომიკურ პირობებში, რომლებსაც უკავშირდება ვალდებულებების შეუსრულებლობა.

კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები, მოთხოვნები ბანკებისა და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მიმართ

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული აქტივების შემთხვევაში ბანკი ჯერ სათითაოდ განსაზღვრავს, არსებობს თუ არა გაუფასურების ობიექტური საფუძველი ინდივიდუალური მნიშვნელობის მქონე აქტივებისთვის ინდივიდუალურად ან ინდივიდუალური მნიშვნელობის არმქონე ფინანსური აქტივებისთვის კოლექტიურად. თუ დადგინდა, რომ ინდივიდუალურად შეფასებული ფინანსური აქტივის (განურჩევლად იმისა, მნიშვნელოვანია ის თუ არა) გაუფასურების ობიექტური საფუძველი არ არსებობს, აქტივის ჩართვა ხდება ფინანსური აქტივების ჯგუფში, რომელსაც ახასიათებს ანალოგიური საკრედიტო რისკები და ამ ფინანსური აქტივების ჯგუფის შეფასება გაუფასურებასთან მიმართებაში ხდება კოლექტიურად. აქტივები, რომელთა გაუფასურებაც ინდივიდუალურად ფასდება და რომელთათვისაც ხდება გაუფასურების ზარალის აღიარება, არ მოწოდებულია გაუფასურებასთან მიმართებაში აქტივების კოლექტიური შეფასების პროცესში.

თუ არსებობს გაუფასურების ზარალის წარმოშობის ობიექტური საფუძველი, ზარალის თანხა აღირიცხება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის (გარდა მომავალში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისა, რომელსაც ჯერ ადგილი არ ჰქონია). აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება გაუფასურების რეზერვის გამოყენებით, ხოლო ზარალის თანხა აღიარებულია მოგება-ზარალის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში. საპროცენტო შემოსავალი ერიცხება შემცირებულ საბალანსო ღირებულებას აქტივის თავდაპირველ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთზე დაყრდნობით. თუ მომდევნო წლის განმავლობაში გაუფასურებით გამოწვეული ზარალი გაიზრდება ან შემცირდება გაუფასურების აღიარების შემდგომი მოვლენის გამო, მანამდე აღიარებული გაუფასურების ზარალი იზრდება ან მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კორექტირებით.

მოსალოდნელი სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულება დისკონტირებულია ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. თუ სესხს აქვს ცვლადი საპროცენტო განაკვეთი, დისკონტის განაკვეთს გაუფასურების ზარალის შესაფასებლად წარმოადგენს მიმდინარე ეფექტური საპროცენტო განაკვეთი. უზრუნველყოფილი ფინანსური აქტივის სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების გამოთვლა ასახავს ფულად ნაკადებს, რომლებიც გამომდინარეობს დაგირავებული ქონების გამოსყიდვის უფლების ჩამორთმევიდან, უზრუნველყოფის მიღებასთან და რეალიზაციასთან დაკავშირებული ხარჯების გამოკლებით, იმისდა მიუხედავად, მოსალოდნელია თუ არა დაგირავებული ქონების გამოსყიდვის უფლების ჩამორთმევა.

გაუფასურების კოლექტიურად შეფასების მიზნით, ფინანსური აქტივები დაჯგუფებულია ბანკის შიდა საკრედიტო რანჟირების სისტემაზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს საკრედიტო რისკის ისეთ მახასიათებლებს, როგორებიცაა აქტივის ტიპი, სექტორი, უზრუნველყოფის ტიპი, ვადაგადაცილების სტატუსი და სხვა.

(ათას ლარში)

2. მომზადების საფუძველი და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)**ფინანსური აქტივების გაუფასურება (გაგრძელება)**

გაუფასურებასთან მიმართებაში კოლექტიურად შეფასებული ფინანსური აქტივების სამომავლო ფულადი ნაკადები განსაზღვრულია მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების მქონე აქტივების ისტორიული ზარალის შესაბამისად. ისტორიული ზარალი კორექტირდება ამჟამინდელ მონაცემებზე დაყრდნობით, რათა გათვალისწინებულ იქნას ამჟამინდელი პირობები, რომლებიც არ მოქმედებდა ისტორიული ზარალის წლებში, და არ იქნას გათვალისწინებული ისტორიული ზარალის პერიოდის ის გარემოებები, რომლებიც ამჟამად აღარ არსებობს. სამომავლო ფულადი ნაკადების სავარაუდო ცვლილებები ასახავს და უკავშირდება წლიდან წლამდე გარკვეული თარიღისათვის მომხდარ ცვლილებებს. სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასების მეთოდოლოგიის და დაშვებების, რომლებიც გამოიყენება სამომავლო ფულადი ნაკადების განსაზღვრის მიზნით, გადახედვა ხდება რეგულარულად განსაზღვრულ და რეალურ ზარალს შორის სხვაობის შემცირების მიზნით.

გასაყიდად გამოზნული ფინანსური აქტივები

გასაყიდად გამოზნული ფინანსური ინვესტიციების შემთხვევაში, ბანკი ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის აფასებს, არსებობს თუ არა ინვესტიციის თუ ინვესტიციათა ჯგუფის გაუფასურების ობიექტური საფუძველი.

გასაყიდად გამოზნული კაპიტალის ინვესტიციების შემთხვევაში, ობიექტური საფუძველი ნიშნავს ინვესტიციის სამართლიანი ღირებულების მნიშვნელოვან ან გრძელვადიან შემცირებას მის თვითღირებულებაზე ნაკლებ ოდენობამდე. თუ არსებობს გაუფასურების საფუძველი, აკუმულირებული ზარალი, (რომელიც შეფასებულია, როგორც სხვაობა შესყიდვის ღირებულებასა და მიმდინარე სამართლიან ღირებულებას შორის, რასაც აკლდება მოგება-ზარალის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში აღიარებული ინვესტიციის გაუფასურების ზარალი) ამოღებულია სხვა სრული შემოსავლის მუხლიდან და აღიარებულია მოგება-ზარალის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში. კაპიტალის ინვესტიციების გაუფასურების ზარალის აღდგენა მოგება-ზარალის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში ასახვით არ ხდება; გაუფასურების შემდგომ მათი სამართლიანი ღირებულების ზრდა მთლიანად სხვა სრულ შემოსავალში აისახება.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

გასაყიდად გამოზნული სავალო ინსტრუმენტების გაუფასურების შეფასება ხდება იმავე კრიტერიუმებით, როგორითაც - ამორტიზებული ღირებულების მქონე ფინანსური აქტივების შეფასება. სამომავლო საპროცენტო შემოსავალი ეფუძნება შემცირებულ საბალანსო ღირებულებას და ირიცხება საპროცენტო განაკვეთით, რომელიც გამოიყენება გაუფასურების ზარალის შეფასების მიზნით სამომავლო ფულადი ნაკადების დისკონტირებისათვის. საპროცენტო შემოსავალი აღირიცხება მოგება-ზარალის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში. თუ შემდგომ პერიოდში სავალო ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება გაიზრდება და ზრდა შესაძლოა ობიექტურად დაუკავშირდეს გაუფასურების მოგება-ზარალის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში აღიარების შემდგომ მოვლენას, ხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა მოგება-ზარალის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში ასახვით.

ფინანსური აქტივების რესტრუქტურზაცია

საჭიროების შემთხვევაში დროდადრო ბანკი ახდენს თავის ფინანსური აქტივების რესტრუქტურზაციას. ძირითადად ეს ეხება სესხებს და მისაღებ ანგარიშებს.

აღნიშნული ხორციელდება სამი ძირითადი სცენარის მიხედვით:

- ▶ თუ სესხის ვალუტა იცვლება, მაშინ ხდება ძველი სესხის აღიარების შეწყვეტა და ახალი სესხის აღიარება, რაც საჭიროებს ახალი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განსაზღვრას. თუ ახალი ეფექტური საპროცენტო განაკვეთი საბაზრო საპროცენტო განაკვეთზე დაბალია, მაშინ თავდაპირველი აღიარებით გამოწვეული ზარალი აღიარებული იქნება საანგარიშგებო პერიოდში;

(ათას ლარში)

2. მომზადების საფუძველი და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)**ფინანსური აქტივების რესტრუქტურიზაცია (გაგრძელება)**

- ▶ თუ სესხის რესტრუქტურიზაცია არ უკავშირდება მსესხებლის ფინანსურ სიძნელეებს და მოსალოდნელი ფულადი ნაკადები გადაისინჯა, მაშინ სესხი არ მიიჩნევა გაუფასურებულად. სესხის აღიარების შეწყვეტა არ ხდება და განისაზღვრება ახალი ეფექტური საპროცენტო განაკვეთი სესხის დარჩენილი პერიოდის ფულადი ნაკადების საფუძველზე. თუ რესტრუქტურიზაციის თარიღისათვის ახალი ეფექტური საპროცენტო განაკვეთი საბაზრო განაკვეთზე დაბალია, სესხის ახალი საბალანსო ღირებულება გამოითვლება, როგორც მისი სამართლიანი ღირებულება რესტრუქტურიზაციის შემდეგ. სამართლიანი ღირებულება წარმოადგენს რესტრუქტურიზაციის თარიღისათვის მოქმედი საბაზრო განაკვეთით დისკონტირებულ სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას. ამ შემთხვევაში განსხვავება სესხის რესტრუქტურიზაციამდელ საბალანსო ღირებულებასა და რესტრუქტურიზაციის შემდეგ მის სამართლიან ღირებულებას შორის აღიარებულია, როგორც სესხის რესტრუქტურიზაციის შედეგად მიღებული ზარალი;
- ▶ თუ სესხის გაუფასურება ხდება რესტრუქტურიზაციის შემდეგ, მაშინ ბანკი სესხის აღდგენადი ღირებულების გამოსათვლელად ახალი ფულადი ნაკადებისთვის იყენებს თავდაპირველ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთს. გადაანგარიშებული ახალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას, რომელიც მოიცავს უზრუნველყოფის რეალიზაციიდან მისაღებ ამონაგებს, და სესხის რესტრუქტურიზაციამდე მის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა შეტანილია მიმდინარე პერიოდის სესხის გაუფასურების ხარჯებში.

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა*ფინანსური აქტივები*

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივის ჯგუფის ნაწილის) ჩამოწერა ხდება თუ:

- ▶ ამოიწურა აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების ვადა;
- ▶ ბანკმა დათმო აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; და
- ▶ ბანკმა (ა) გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

იმ შემთხვევაში, თუ ბანკმა გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება და არ გადაუცია ძირითადი რისკები და სარგებელი ან კონტროლი აქტივზე, ბანკის მიერ აქტივის აღიარება ხდება მონაწილეობის შენარჩუნების პირობით. მონაწილეობის შენარჩუნება, რომელსაც აქვს გადაცემულ აქტივზე ერთგვარი გარანტიის ფორმა, აისახება აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებასა და ბანკის მიერ გადასახდელ მაქსიმალურ თანხას შორის უმცირესით

როდესაც უწყვეტი გამოყენება მიიღებს გადაცემულ აქტივზე წერილობითი და/ან შემენილი ოფციონის ფორმას (ფულადი ოფციონების ან მსგავსი საკონტრაქტო პირობების სახით), ბანკის ჩართულობის ხარისხი წარმოადგენს იმ გადაცემული აქტივის თანხას, რომლითაც შესაძლებელია აქტივის გამოსყიდვა. თუმცა იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს წერილობითი მიწოდების ოფციონი (ფულადი ოფციონების ან მსგავსი საკონტრაქტო პირობების სახით) სამართლიანი ღირებულებით ასახულ აქტივზე, ბანკის ჩართულობის ხარისხი შემოიფარგლება გადაცემული აქტივების სამართლიან ღირებულებასა და ოფციონის რეალიზაციის ფასს შორის უმცირესით.

უმოქმედო სესხები

ბანკის პოლიტიკის თანახმად, უმოქმედო სესხების აღიარების შეწყვეტა ხდება შემდეგნაირად:

- ▶ ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი სესხები ჩამოიწერება ბანკის საკრედიტო კომიტეტის შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე;
- ▶ უიმედო სესხები ჩამოიწერება შესაბამისი გაუფასურების რეზერვიდან მას შემდეგ, რაც დასრულდება სესხების ამოღებისთვის საჭირო ყველა პროცედურა და განისაზღვრება ამოუღებელი დანაკარგების ოდენობა.

თუ ბანკი ამოიღებს თანხას სესხის ჩამოწერის შემდეგ პერიოდში, ამოღებული თანხა აისახება სესხის გაუფასურების რეზერვის ანგარიშზე.

(ათას ლარში)

2. მომზადების საფუძველი და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა (გაგრძელება)

ფინანსური ვალდებულებები (გაგრძელება)

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება.

როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ცვლის მეორე ფინანსური ვალდებულება იმავე კრედიტორის მიმართ მნიშვნელოვნად შეცვლილი პირობებით, ან თუ მიმდინარე ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება თუ მოდიფიკაცია აღირიცხება, როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების გაუქმება და ახალი ვალდებულების აღიარება, ხოლო შესაბამისი საბალანსო ღირებულების სხვაობა აისახება მოგება-ზარალის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში.

ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ურთიერთგაქვითება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში, თუ არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგაქვითვის იურიდიული უფლება და სურვილი, ან ერთდროულად აქტივის რეალიზაციისა და ვალდებულებების დაფარვის სურვილი. ეს არ ეხება ძირითად საკლირინგო ხელშეკრულებებს და დაკავშირებული აქტივები და ვალდებულებები მთლიანად წარმოდგენილია ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში.

ფინანსური გარანტიები

ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში ბანკი გაცემს ფინანსურ გარანტიებს, ძირითადად აკრედიტივებსა და საბანკო გარანტიებს. ფინანსური გარანტიები სამართლიანი ღირებულებით აღირიცხება ფინანსური ანგარიშგების „სხვა ვალდებულებების“ მუხლში, როგორც მიღებული პრემია. თავდაპირველი აღიარების შემდეგ ბანკის ვალდებულებები თითოეული გარანტიისთვის ფასდება ამორტიზებულ პრემიასა და გარანტიის შედეგად წარმოშობილი ფინანსური ვალდებულების დასაფარად გაწეული ხარჯების მაქსიმალურად ზუსტ გათვლას შორის უმეტესით.

ყოველი მატება ვალდებულებებში, რაც დაკავშირებულია ფინანსურ გარანტიებთან, აისახება მოგება-ზარალის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში. მიღებული პრემია მოგება-ზარალის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში აღიარებულია წრფივი მეთოდის გამოყენებით გარანტიის ვადის განმავლობაში.

გადასახადები

მიმდინარე მოგების გადასახადი გამოიანგარიშება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

გადავადებული აქტივებისა და ვალდებულებების დაანგარიშება მიმდინარე სხვაობებთან მიმართებაში ხდება ვალდებულებების აღრიცხვის მეთოდით. გადავადებული მოგების გადასახადები გათვალისწინებულია ყველა დროებით სხვაობაზე, რომელიც წარმოიშობა აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო დასაბეგრ საფუძველსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გადავადებული მოგების გადასახადი წარმოიშობა გუდვილის პირველადი აღიარებიდან ან აქტივისა და ვალდებულებიდან იმ გარიგებაში, რომელიც არ არის საწარმოთა გაერთიანება და ოპერაციის თარიღისათვის გავლენას არ იქონიებს სააღრიცხვო მოგებასა თუ საგადასახადო მოგება-ზარალზე.

გადავადებული საგადასახადო აქტივი აღირიცხება მხოლოდ მაშინ, როდესაც მოსალოდნელია დასაბეგრი მოგების მიღება, საიდანაც შესაძლებელი იქნება დროებითი გამოქვითვადი სხვაობების გაქვითვა. გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები ფასდება საგადასახადო განაკვეთებით, რომლებიც სავარაუდოდ იმოქმედებს აქტივის რეალიზაციის ან ვალდებულების გასტუმრების პერიოდში, იმ საგადასახადო განაკვეთების (რომლებიც ეხება გასანაწილებელ მოგებას) და საგადასახადო კანონების საფუძველზე, რომლებიც მოქმედებს ან არსებითად მოქმედებს ანგარიშგების თარიღისთვის.

საქართველოში აგრეთვე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადი, რომლებიც გავლენას ახდენს ბანკის საქმიანობაზე. ეს გადასახადები შესულია სხვა საოპერაციო ხარჯებში.

(ათას ლარში)

2. მომზადების საფუძველი და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)**ძირითადი საშუალებები**

ძირითადი საშუალებები, გარდა მიწისა და შენობებისა, აღრიცხულია თვითღირებულებით, გარდა ყოველდღიური მომსახურების ხარჯებისა, რასაც აკლდება აკუმულირებული ცვეთა და გაუფასურების მოცულობა. ამ თანხაში შედის ძირითადი საშუალების ნაწილის ჩანაცვლების ღირებულება, ამ ხარჯის დადგომისას, თუ აღიარების კრიტერიუმები დაცულია. შენობა-ნაგებობები შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით, რასაც აკლდება გადაფასების თარიღის შემდგომ დარიცხული ცვეთა და გაუფასურება. მიწის შეფასება ხდება სამართლიანი ღირებულებით და მას არ ერიცხება ცვეთა. შეფასება ტარდება იმდენად ხშირად, რომ გადაფასებული აქტივის სამართლიანი ღირებულება არსებითად არ განსხვავდებოდეს მისი საბალანსო ღირებულებისგან.

გადაფასების ნებისმიერი მეტობა კრედიტდება სხვა სრულ შემოსავლებში ჩართული ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხდება უწინ მოგება-ზარალის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში აღიარებული ამავე აქტივის გადაფასებისას მისი ოდენობის შემცირების აღდგენა. ამ შემთხვევაში მატების აღიარება ხდება მოგება-ზარალის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში. გადაფასების დეფიციტის აღიარება ხდება მოგება-ზარალის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დეფიციტი, რომელიც უშუალოდ გაქვითავს ამავე აქტივზე უწინ აღიარებულ მეტობას, პირდაპირ გაიქვითება ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვის მეტობიდან.

ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვიდან წლიური გადატანა გაუნაწილებელ მოგებაზე ხდება აქტივის გადაფასებული საბალანსო ღირებულების ცვეთასა და აქტივის თავდაპირველი ღირებულების ცვეთას შორის სხვაობით. გაყიდვისას კონკრეტულ აქტივთან დაკავშირებული მთლიანი გადაფასების რეზერვი გადაიტანება გაუნაწილებელ მოგებაზე.

დაუმთავრებელი მშენებლობა აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც საჭიროების შემთხვევაში აკლდება გაუფასურების რეზერვი. მშენებლობის დასრულების შემდეგ აქტივები გადაიტანება საოფისე ან სხვა შენობებში მათი საბალანსო ღირებულებით. დაუმთავრებელი მშენებლობის ცვეთა არ ხდება, სანამ აქტივი ექსპლუატაციისთვის მზად არ იქნება.

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების გადახედვა ხდება გადაფასებასთან მიმართებაში, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულების აღდგენა შესაძლოა ვერ მოხერხდეს.

აქტივის ცვეთა დაირიცხება იმ თარიღიდან, როდესაც ხდება აქტივის ექსპლუატაციაში გაშვება. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით:

	წელი
შენობა-ნაგებობები	35-50
კომუნალური სისტემები და მასთან დაკავშირებული მოწყობილობები	10-40
კომპიუტერული და საკომუნიკაციო ტექნიკა	4
ავეჯი და საოფისე ტექნიკა	2-8
სატრანსპორტო საშუალებები	5
იჯარით აღებული ქონების გაუმჯობესება	შესაბამის საიჯარო პერიოდში

აქტივების ნარჩენი ღირებულების, სასარგებლო მომსახურების ვადისა და მეთოდების გადახედვა და შესაბამისად კორექტირება საჭიროებისამებრ ხდება ყოველი ფინანსური წლის ბოლოს.

შეკეთება-განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები ირიცხება წარმოშობისას და მათი ჩართვა ხდება სხვა საოპერაციო ხარჯებში თუ არ არსებობს მათი კაპიტალიზაციის საფუძველი.

(ათას ლარში)

2. მომზადების საფუძველი და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება არის მიწა ან შენობა ან შენობის ნაწილი, რომელიც გაიყვანა იჯარით საიჯარო შემოსავლის მისაღებად ან კაპიტალის გაზრდისათვის, რომელიც საქმის ჩვეულებრივი მსვლელობისას, ბანკის მიერ არ არის გამოყენებული ან გასაყიდად განკუთვნილი.

საინვესტიციო ქონების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით, ტრანსაქციის ხარჯების ჩათვლით და შემდეგ ხელმოწერა ფასდება სამართლიანი ღირებულებით, რომელიც ასახავს საბაზრო პირობებს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის. ბანკის საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება სხვადასხვა წყაროს საფუძველზე, მათ შორის დამოუკიდებელი შემფასებლების ანგარიშების მიხედვით, რომლებსაც აქვთ აღიარებული და შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაცია და ანალოგიური ადგილმდებარეობისა და კატეგორიის ქონების შეფასების გამოცდილება.

ბანკის საინვესტიციო ქონების ღირებულება გადაფასდება ყოველი ანგარიშგების თარიღისთვის და მისი აღიარება ხდება მოგება-ზარალის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში, როგორც საინვესტიციო ქონების გადაფასების შედეგად მიღებული შემოსულობა/ზარალი. იჯარიდან გამომუშავებული შემოსავალი აღირიცხება მოგება-ზარალის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის ნაწილში.

დასაკუთრებული აქტივები

დასაკუთრებული უზრუნველყოფა წარმოადგენს არაფინანსურ აქტივებს, რომლებიც ბანკმა დასაკუთრა ვადაგადაცილებული სესხების თანხის ამოღებისას. ეს აქტივები შეძენისას ფასდება სამართლიანი ღირებულებით და აისახება შენობებსა და აღჭურვილობაში, საინვესტიციო ქონებაში ან სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში, სხვა აქტივების მუხლში. ეს კლასიფიკაცია დამოკიდებულია უზრუნველყოფის მახასიათებლებსა და ბანკის გადაწყვეტილებაზე ამ აქტივების ამოღებასთან დაკავშირებით. ეს აქტივები შემდგომში გადაფასდება და აღირიცხება აქტივების ამ კატეგორიების შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკის თანახმად. დასაკუთრებული უზრუნველყოფის სასაქონლო-მატერიალური მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები მოიცავს პროგრამულ უზრუნველყოფასა და ლიცენზიებს.

ცალკეული არამატერიალური აქტივი პირველადი აღიარებისას აღირიცხება თვითღირებულებით. თავდაპირველი აღიარების შემდგომ არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება აკუმულირებული ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი. არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობა შეფასებულია განსაზღვრული ან განუსაზღვრელი ვადით. ვადიანი არამატერიალური აქტივები ამორტიზებულია სასარგებლო ეკონომიკური ხანგრძლივობის – 2-20 წლის განმავლობაში და მათი შეფასება გაუფასურებასთან მიმართებაში ხდება გაუფასურების ნიშნების არსებობისას. ვადიანი არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ვადებისა და მეთოდების გადახედვა ხდება სულ მცირე ყოველი ფისკალური წლის ბოლოს.

ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ბანკს წარსული მოვლენების გამო აქვს მიმდინარე თუ პრაქტიკიდან გამომდინარე ვალდებულება და მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება ვალდებულების დასაფარად. ასევე, შესაძლებელია ვალდებულების თანხის სანდოდ განსაზღვრა.

საპენსიო თუ სხვა ვალდებულებები თანამშრომელთა წინაშე

ბანკს საქართველოს სახელმწიფო საპენსიო სისტემის გარდა სხვა საპენსიო უზრუნველყოფის სისტემა არა აქვს.

(ათას ლარში)

2. მომზადების საფუძველი და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)**კაპიტალი***საწესდებო კაპიტალი*

ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირებულია, როგორც კაპიტალი. ახალი აქციების გამოშვებასთან პირდაპირ დაკავშირებული გარე ხარჯები, გარდა საწარმოთა გაერთიანებისთვის გამოშვებული აქციებისა, აღრიცხულია, როგორც გამოქვეითები კაპიტალის შემოსავლებიდან. გამოშვებული აქციების ნომინალურ ღირებულებაზე მეტი ნებისმიერი სამართლიანი ღირებულების მქონე მიღებული საფასური აღირიცხება, როგორც დამატებით შეტანილი კაპიტალი.

დივიდენდები

დივიდენდები აღიარებულია, როგორც ვალდებულება და გამოიქვეითება კაპიტალიდან ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის მხოლოდ მაშინ, თუ ისინი გამოცხადებულია ანგარიშგების შედგენამდე პერიოდში ან ანგარიშგების შედგენის თარიღით. დივიდენდები აისახება მაშინ, როდესაც მათი შეთავაზება ანგარიშგების შედგენის თარიღამდე ხდება, ან თუ ისინი შეთავაზებულია ან გამოცხადებულია ანგარიშგების თარიღის შემდგომ პერიოდში, მაგრამ ფინანსური ანგარიშგების გამოცემამდე.

უვალო სუბორდინირებული სესხი

განუსაზღვრელი ვადისა და კუპონის გადახდების დაგროვების გარეშე გაუქმების შესაძლებლობის გამო ბანკი უვალო სუბორდინირებულ სესხს აღრიცხავს, როგორც წილობრივ ინსტრუმენტს და პირველადი კაპიტალის ინსტრუმენტს კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტის გამოთვლის მიზნებისთვის. ბანკი რუბლში გამოხატულ უვალო სუბორდინირებულ სესხს აღრიცხავს ლარის ეკვივალენტურ თანხად, საანგარიშგებო თარიღისთვის მოქმედი სავალუტო კურსის გამოყენებით, ხოლო ვალუტის კონვერტაციის ეფექტს აღრიცხავს გაუნაწილებელ მოგებაში.

პირობითი ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში, თუმცა წარმოდგენილია გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ფულადი ნაკადის გადინების ალბათობა დაფარვის მიზნით დაბალია. პირობითი აქტივი არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში, თუმცა წარმოდგენილია მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღებაა მოსალოდნელი.

შემოსავლისა და ხარჯის აღიარება

შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღების ალბათობა მაღალია და შესაძლებელია მისი სანდოდ შეფასება.

საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ყველა ფინანსური ინსტრუმენტისა და გასაყიდად გამიზნული საპროცენტო სარგებლის მქონე ფასიანი ქაღალდების შემთხვევაში საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის ის განაკვეთი, რომელიც მოსალოდნელ სამომავლო ფულად გადახდებს/შემოსავლებს ფინანსური ინსტრუმენტის სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობის, ან სადაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში ადისკონტირებს ფინანსური აქტივის თუ ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. გაანგარიშება ითვალისწინებს ფინანსური ინსტრუმენტის ყველა საკონტრაქტო პირობას (მაგალითად წინასწარი გადახდის შესაძლებლობას) და მოიცავს ნებისმიერ საკომისიო თანხას და დამატებით ხარჯს, რომელიც პირდაპირ განეკუთვნება ინსტრუმენტს და წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, გარდა სამომავლო საკრედიტო ზარალისა. ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულება კორექტირდება თუ ბანკი გადახედავს მის მიერ დასაფარი თუ მისაღები სავარაუდო თანხების შეფასებას. კორექტირებული საბალანსო ღირებულება გამოითვლება თავდაპირველ ეფექტურ საპროცენტო

*(ათას ლარში)***2. მომზადების საფუძველი და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)****შემოსავლისა და ხარჯის აღიარება (გაგრძელება)***საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი (გაგრძელება)*

განაკვეთზე დაყრდნობით და საბალანსო ღირებულების ცვლილება აღირიცხება, როგორც საპროცენტო შემოსავალი თუ ხარჯი. როდესაც ფინანსური აქტივის თუ მსგავსი აქტივების ბანკის ღირებულება მცირდება გაუფასურებით გამოწვეული ზარალის გამო, საპროცენტო შემოსავლის აღიარება გრძელდება ახალ საბალანსო ღირებულებაზე თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

მიღებული გასამრჯელო და საკომისიო

საანგარიშსწორებო და საკასო ოპერაციებიდან მიღებული საკომისიოს აღიარება ხდება კლიენტისთვის მომსახურების გაწევისთანავე.

სესხის აუთვისებელი თანხის საკომისიო იმ სესხების შემთხვევაში, რომელთა ათვისებაც მოსალოდნელია და საკრედიტო პროდუქტებთან დაკავშირებული სხვა გასამრჯელოები, მათ შორის გარანტიებისა და აკრედიტივების გაცემის საზღაური გადავადდება (დამატებით ხარჯებთან ერთად) და აღიარდება სესხის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის კორექტირების სახით.

შემოსავალი დივიდენდებიდან

შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როცა ბანკს განესაზღვრება თანხების მიღების უფლება.

უცხოური ვალუტის კონვერტაცია

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რაც ბანკის სამუშაო და წარსადგენი ვალუტაა. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება გარიგების დღეს არსებული კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების ხელახლა კონვერტაცია ლარში ხდება ანგარიშგების დღეს არსებული სამუშაო ვალუტის გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების კონვერტაციით გამოწვეული შემოსულობა და ზარალი აღიარებულია მოგება-ზარალის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში, როგორც უცხოური ვალუტის კონვერტაციით გამოწვეულ მოგებას გამოკლებული ზარალი – საკურსო სხვაობა. არაფულადი მუხლების კონვერტაცია, რომლებიც პირვანდელი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, ხდება თავდაპირველი ოპერაციების დღეებში არსებული გაცვლითი კურსებით. არაფულადი მუხლები, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, გადაანგარიშდება იმ დღის გაცვლითი კურსით, როდესაც მოხდა სამართლიანი ღირებულების დადგენა.

სხვაობები უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციის სახელშეკრულებო გაცვლით კურსსა და სებ-ის გაცვლით კურსს შორის ოპერაციის დღეს შესულია უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციებიდან მიღებულ შემოსულობას გამოკლებული ზარალის მუხლში. სებ-ის ოფიციალური გაცვლითი კურსი 2017 წლისა და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შესაბამისად, იყო 2.5922 და 2.6468 ლარი 1 აშშ დოლართან მიმართებაში. 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით - 2.3949 ლარი 1 აშშ დოლართან მიმართებაში.

(ათას ლარში)

3. საღრიცხო პოლიტიკის შერჩევასთან დაკავშირებით გამოყენებული მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები და დაშვებები

ბანკი მიმართავს გარკვეულ შეფასებს და დაშვებებს, რაც გავლენას ახდენს ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსური წლისთვის. შეფასებები და დაშვებები მუდმივად გადაისინჯება და ეყრდნობა ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენებს, რომელთა გონივრული პროგნოზირებაც შესაძლებელია გარემოებების გათვალისწინებით. ხელმძღვანელობა ასევე გარკვეულ გადაწყვეტილებებს იღებს საღრიცხო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. ქვემოთ მოცემულია გადაწყვეტილებები, რომლებსაც აქვს ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და შეფასებები, რომლებმაც შეიძლება მნიშვნელოვნად შეცვალოს მომდევნო ფინანსური წლის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება:

ფუნქციონირებადი საწარმო

ბანკის ხელმძღვანელობის შეფასებით, ბანკს შესწევს უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. ბანკის ხელმძღვანელობამ გამოთქვა კმაყოფილება იმასთან დაკავშირებით, რომ ბანკს აქვს ფულადი სახსრები და მშობელი ბანკის ფინანსური მხარდაჭერა უახლოეს მომავალში თავისი საქმიანობის გასაგრძელებლად. ამასთან, ხელმძღვანელობა არ ფლობს ინფორმაციას, რომელმაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს ბანკის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. აქედან გამომდინარე, ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადობის პრინციპის საფუძველზე.

ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

როდესაც ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღრიცხული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების მიღება აქტიური ბაზრებიდან ვერ ხერხდება, ისინი განისაზღვრება შეფასების სხვადასხვა მეთოდით, მათ შორის მათემატიკური მოდელით. ამ მეთოდებისთვის ინფორმაცია აიღება ბაზრიდან, რამდენადაც ეს შესაძლებელია, მაგრამ თუ ეს შეუძლებელია, სამართლიანი ღირებულება შეფასების საფუძველზე განისაზღვრება. დამატებითი დეტალები წარმოდგენილია 24-ე შენიშვნაში.

სესხების გაუფასურების რეზერვი

ბანკის მიერ რეგულარულად ხდება სესხებისა და მისაღები ანგარიშების გადახედვა გაუფასურებასთან მიმართებაში. ბანკი იყენებს საკუთარ შეფასებებს ნებისმიერი გაუფასურების ზარალის განსაზღვრის მიზნით იმ შემთხვევებში, როდესაც მსესხებელს აქვს ფინანსური სირთულეები და ანალოგიურ მსესხებელთან მიმართებაში ისტორიული მონაცემები რთულად მოიპოვება. ასევე ბანკი აფასებს სამომავლო ფულადი ნაკადების ცვლილებას იმ მოპოვებად მონაცემებზე დაყრდნობით, რომლებიც მიუთითებენ, რომ არსებობს გაუარესებისკენ ცვლილება ბანკში მსესხებელის გადახდის სტატუსისა ან ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობისა, რაც განპირობებს ბანკში აქტივებზე ვალდებულებების შეუსრულებლობას.

საკრედიტო რისკის მახასიათებლების მქონე აქტივებისთვის ხელმძღვანელობა იყენებს ისტორიული ზარალის გამოცდილებაზე დაყრდნობილ შეფასებებსა და ანალოგიური სესხებისა და მისაღები ანგარიშების გაუფასურების ობიექტურ საფუძველს. მიმდინარე გარემოებების ასახვის მიზნით ბანკი ეყრდნობა საკუთარ განსჯას სესხებისა თუ მისაღები ანგარიშების დაკვირვებადი მონაცემების კორექტირებისათვის.

არსებული მეთოდოლოგიით, დანაკარგების მაჩვენებელი გამოითვლება ამოღების მაჩვენებლის გათვალისწინებით, რომელიც სტატისტიკური მონაცემებიდან მიიღება და მიუთითებს დანაკარგების ამოღებადობაზე მას შემდეგ, რაც კრედიტები 90 დღეზე მეტი ხნით ხდება ვადაგადაცილებული.

ქონების გადაფასება

ბანკი რეგულარულად ახდენს უძრავი ქონების (მიწის, საოფისე შენობების, საიჯარო ქონების გაუმჯობესებისა და საინვესტიციო ქონების) ღირებულების გადახედვას სამართლიან ღირებულებასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით და ახდენს გადაფასებას, რათა ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება არსებითად არ განსხვავდებოდეს მათი სამართლიანი ღირებულებისაგან. ბანკი ახდენს გადაფასებას სპეციალური შეფასების ტექნიკისა და ადგილობრივ ბაზარზე განხორციელებული უძრავი ქონების ოპერაციების შესახებ არსებული ინფორმაციის გამოყენებით.

(ათას ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევასთან დაკავშირებით გამოყენებული მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)**ფუნქციონირებადი საწარმო (გაგრძელება)***ქონების გადაფასება (გაგრძელება)*

მიწა და შენობები გადაფასებულია საბაზრო ღირებულებასთან მიმართებით 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. გადაფასებული შენობები 2016 წლის 1 იანვრიდან აღიარებულია მათი სასარგებლო გამოყენების დარჩენილი ვადის მიხედვით. ბანკის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ შენობებისა და მიწის საბალანსო ღირებულება მნიშვნელოვნად არ განსხვავდება ამ აქტივების სამართლიანი ღირებულებისაგან 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დამოუკიდებელმა შემფასებელმა განსაზღვრა ბანკის საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულება. ქონების საბაზრო ღირებულება დადგინდა აქტიურ ბაზარზე არსებული მონაცემების საფუძველზე. დაწვრილებითი ინფორმაცია მოცემულია მე-10 და მე-11 შენიშვნებში.

გადასახადები

მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯი გამოიანგარიშება საქართველოს მოქმედი ნორმატიული აქტების შესაბამისად, სადაც ბანკი საქმიანობს.

აღიარებული გადავადებული საგადასახადო აქტივები წარმოადგენს მოგების გადასახადს, რომლის აღდგენაც შესაძლებელია მომავალი დასაბეგრი მოგებიდან გამოქვითვით და რომელიც აღირიცხება ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. გადავადებული მოგების გადასახადის აქტივები აღირიცხება იმ ოდენობით, რა ოდენობითაც მოსალოდნელია შესაბამისი საგადასახადო შეღავათების რეალიზაცია. სამომავლო დასაბეგრი მოგება და მომავალში მოსალოდნელი საგადასახადო შეღავათების ოდენობა ეყრდნობა ხელმძღვანელობის გონივრულ შეფასებას არსებული პირობების გათვალისწინებით. იხილეთ მე-12 შენიშვნა.

4. სააღრიცხვო პოლიტიკაში შესული ცვლილებები და ახალი ან შეცვლილი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება**ახალი ან შესწორებული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება**

ბანკმა პირველად გამოიყენა სტანდარტში შესული გარკვეული ცვლილებები, რომლებიც ძალაშია 2017 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ბანკს ვადაზე ადრე არ მიუღია ისეთი სტანდარტი, ინტერპრეტაცია თუ ცვლილება, რომელიც გამოშვებულია, მაგრამ ჯერ ძალაში არ არის შესული. ქვემოთ დაწვრილებით განვიხილავთ თითოეული ცვლილების ხასიათსა და გავლენას:

ცვლილებები ბასს 7-ში „ფულადი ნაკადების ანგარიშგება“: ინფორმაციის გახსნის ინიციატივა

ცვლილებების თანახმად, საწარმოებს ევალებათ ინფორმაციის წარმოდგენა საფინანსო საქმიანობის შედეგად ვალდებულებებში მომხდარი ცვლილებების შესახებ, როგორც ფულადი ნაკადებით განპირობებული ცვლილებების, ისე არაფულადი ცვლილებების (როგორცაა საკუროსო სხვაობიდან მიღებული შემოსულობა ან ზარალი) ჩათვლით. ბანკი თავის ვალდებულებებში ფინანსური საქმიანობით გამოწვეული არაფულადი ცვლილებების შესახებ ინფორმაციას ასახავს წინა პერიოდების შესაბამის შედარებად ინფორმაციასთან ერთად ფინანსური ანგარიშგების დამატებითი განმარტებითი შენიშვნის სახით. იხილეთ 27-ე შენიშვნა.

ცვლილებები ბასს (IAS) 12-ში „მოგებიდან გადასახადები: გადავადებული საგადასახადო აქტივების აღიარება არარეალიზებულ ზარალთან მიმართებით“

ცვლილებები განმარტავს, რომ საწარმომ უნდა გაითვალისწინოს, ხომ არ ზღუდავს საგადასახადო კანონმდებლობა დასაბეგრი მოგების წყაროებს, რომლებიდანაც მან შეიძლება მოახდინოს გაქვითვები არარეალიზებულ ზარალთან დაკავშირებული გამოსაქვითი დროებითი სხვაობის შემოზღუდვისას.

(ათას ლარში)

4. სააღრიცხვო პოლიტიკაში შესული ცვლილებები და ახალი ან შეცვლილი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება (გაგრძელება)

ამასთან, ცვლილებები განმარტავს, როგორ უნდა განსაზღვროს საწარმომ მომავალში მისაღები დასაბეგრი მოგება და განსაზღვრავს გარემოებებს, რომლებშიც დასაბეგრი მოგება შეიძლება მოიცავდეს გარკვეული აქტივების ამოღებას საბალანსო ღირებულებაზე მეტი ღირებულებით. ბანკის ამჟამინდელი სააღრიცხვო პოლიტიკა შესაბამისობაშია ამ ცვლილებებთან.

ცვლილებები ფასს (IFRS) 12-ში „სხვა საწარმოში მონაწილეობის განმარტებითი შენიშვნები: ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნების განმარტება“

ამ ცვლილებებს გავლენა არ მოუხდენია ბანკის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

5. სააღრიცხვო პოლიტიკის სამომავლო ცვლილებები

სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ბანკის ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის ჯერ ძალაში არ შესულა, მოცემულია ქვემოთ. ბანკი ამ სტანდარტების მიღებას შეძლებისდაგვარად აპირებს მათი ძალაში შესვლისთანავე.

ფასს (IFRS) 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“

2014 წლის ივლისში ბასსს-მა გამოსცა ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“, რომელიც ჩაანაცვლებს ბასს 39-ს „ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება“. ფასს 9 ეხება კლასიფიკაციასა და შეფასებას, გაუფასურებასა და ჰეჯირების აღრიცხვას. ფასს 9 ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. სავალდებულოა მისი რეტროსპექტულად გამოყენება, გარდა ჰეჯირების აღრიცხვისა, თუმცა შედარებადი ინფორმაციის გადაანგარიშება სავალდებულო არ არის.

ბანკი ახალი სტანდარტის მიღებას აპირებს გადასვლის კუმულაციური ეფექტის აღიარებით საწყის გაუნაწილებელ მოგებაზე 2018 წლის 1 იანვარს და არ გადაიანგარიშებს შედარებად ინფორმაციას. ბანკი მუშაობს ფასს 9-ის მიღების ეფექტის რაოდენობრივად გამოხატვაზე, თუმცა ჯერჯერობით ამ ეფექტის რეალური შეფასება ჯერ არ არის ხელმისაწვდომი.

(ა) კლასიფიკაცია და შეფასება

ფასს 9-ის მიხედვით, ყველა სავალო ფასიანი ქაღალდი, რომელიც არ აკმაყოფილებს მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდის კრიტერიუმს, თავდაპირველი აღიარებისას კლასიფიცირდება, როგორც სამართლიანი ღირებულება მოგებაში ან ზარალში. ამ კრიტერიუმის თანახმად, სავალო ინსტრუმენტები, რომლებიც არ შეესაბამება „დაკრედიტების ძირითად სქემას“, მაგალითად, ინსტრუმენტები, რომლებიც შეიცავს კონვერტაციის ჩართულ ოფციონს ან „რეგრესის უფლების არმქონე სესხები“, ფასდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში. სავალო ფინანსური აქტივების შემთხვევაში, რომლებიც აკმაყოფილებს მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდების კრიტერიუმს, თავდაპირველი აღიარებისას მათი კლასიფიკაცია განისაზღვრება იმ ბიზნესმოდელის საფუძველზე, რომლითაც იმართება ეს ინსტრუმენტები:

- ▶ ინსტრუმენტები, რომელთა მართვის საფუძველია „ფლობა ფულადი ნაკადების მიღების მიზნით“, ფასდება ამორტიზებული ღირებულებით;
- ▶ ინსტრუმენტები, რომელთა მართვის საფუძველია „ფლობა ფულადი ნაკადების მიღების და გაყიდვის მიზნით“, ფასდება სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში;
- ▶ ინსტრუმენტები, რომლებიც იმართება სხვა საფუძველზე, მათ შორის სავაჭრო ფინანსური აქტივები, ფასდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში.

წილობრივი ფინანსური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას კლასიფიცირებული უნდა იქნეს სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც ხდება ინსტრუმენტების შეუქცევადი კლასიფიცირება სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში, სხვა სრულ შემოსავალში სამართლიანი ღირებულებით კლასიფიცირებული კაპიტალის ინვესტიციების შემთხვევაში, ყველა რეალიზებული და არარეალიზებული შემოსულობა და ზარალი, გარდა დივიდენდის სახით შემოსვლისა, აღიარებული უნდა იქნეს სხვა სრულ შემოსავალში, მოგებაში ან ზარალში შემდგომი გადატანის გარეშე.

(ათას ლარში)

5. სააღრიცხვო პოლიტიკის სამომავლო ცვლილებები (გაგრძელება)

ფასს (IFRS) 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“ (გაგრძელება)

(ა) კლასიფიკაცია და შეფასება (გაგრძელება)

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და შეფასება მეტწილად უცვლელი რჩება და არ განსხვავდება არსებული ბასს 39-ის მოთხოვნებისგან. წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები კვლავც შეფასდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში.

ბანკი მოელის, რომ გააგრძელებს ამჟამად სესხებისა და მისაღები ანგარიშების სახით კლასიფიცირებული ფინანსური აქტივების შეფასებას ამორტიზებული ღირებულებით, რადგან ინსტრუმენტების უმრავლესობამ დააკმაყოფილა მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდების კრიტერიუმი. ბანკი არ მოელის არაწარმოებული ფინანსური აქტივების შეფასებას სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში.

როგორც მოსალოდნელია, სავალო ფასიანი ქაღალდები, რომლებიც ამჟამად კლასიფიცირებულია გასაყიდად გამიზნულად, შეფასდება ამორტიზებული ღირებულებით ფასს 9-ის შესაბამისად, ვინაიდან ბანკი მოელის ამ აქტივების ფლობას მხოლოდ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით. წილობრივი ფასიანი ქაღალდები კვლავც შეფასდება სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში.

(ბ) გაუფასურება

ფასს 9-ის მიხედვით, ბანკმა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი უნდა აღრიცხოს თავის ყველა სავალო ფინანსურ აქტივზე ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში, ასევე სასესხო დავალიანებასა და ფინანსურ გარანტიებზე. რეზერვი ეყრდნობა მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, რომელიც უკავშირდება მომდევნო თორმეტი თვის განმავლობაში ვალდებულებების შეუსრულებლობის ალბათობას, თუ სესხის გაცემის შემდეგ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არ გაზრდილა. ასეთ შემთხვევაში რეზერვი ეყრდნობა მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს აქტივის არსებობის ვადის განმავლობაში. თუ ფინანსური აქტივი შეესაბამება შესყიდვისას ან წარმოქმნისას გაუფასურებული ფინანსური აქტივის განმარტებას, მაშინ რეზერვი დაეყრდნობა აქტივის არსებობის ვადის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ცვლილებას.

ფასს 9-ის მიერ შემოღებული გაუფასურების ზარალის აღიარების ახალი მოდელის თანახმად, არსებობს „სამეტაპიანი მიდგომა“, რომელიც ეყრდნობა ფინანსური აქტივების საკრედიტო ხარისხის ცვლილებას თავდაპირველი აღიარების შემდეგ. პრაქტიკაში ეს ახალი წესი იმას ნიშნავს, რომ საწარმოებმა მაშინვე უნდა აღრიცხოთ 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ტოლფასი ზარალი იმ ფინანსური აქტივების თავდაპირველი აღიარებისას, რომლებზეც საკრედიტო გაუფასურება არ ფიქსირდება. თუ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არის გაზრდილი, გაუფასურება ფასდება აქტივის არსებობის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის, და არა 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის საფუძველზე.

ფასს (IFRS) 15 „შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან“

2014 წლის მაისში გამოშვებული და 2016 წლის აპრილში შეცვლილი ფასს 15 ჩანაცვლებს ფასს-ის მიხედვით შემოსავლების აღიარების ყველა არსებულ წესს. სრული რეტროსპექტული გამოყენება ან მოდიფიცირებული რეტროსპექტული გამოყენება სავალდებულოა 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ბანკი ახალი სტანდარტის მიღებას აპირებს მოდიფიცირებული რეტროსპექტული მეთოდით. იგი გადასვლის კუმულაციურ ეფექტს აღიარებს საწყის გაუნაწილებელ მოგებაზე 2018 წლის 1 იანვარს და არ გადაიანგარიშებს შედარებად ინფორმაციას.

ფასს 15 განსაზღვრავს ხუთეტაპიან მოდელს, რომელიც გამოიყენება კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლების ასახვისთვის. ფასს 15-ის მიხედვით, შემოსავლების აღიარება მოხდება იმ ანაზღაურების ოდენობით, რომელსაც საწარმო მოელის კლიენტისთვის საქონლის ან მომსახურების მიწოდების სანაცვლოდ. თუმცა, ფინანსური ინსტრუმენტებისა და იჯარის თანამდევ საპროცენტო და საკომისიო შემოსავალი გასცდება ფასს 15-ის მოქმედებს არეალს და დარეგულირდება ძალაში მყოფი სხვა სტანდარტებით (ფასს 9-ით და ფასს 16-ით „იჯარა“). ამის შედეგად, ბანკის შემოსავლის უდიდეს ნაწილზე ამ სტანდარტის მიღება გავლენას არ მოახდენს. ამ ეტაპზე ბანკი არ მოელის არსებით გავლენას ფასს 15-ის თავდაპირველი გამოყენების შედეგად.

(ათას ლარში)

5. სააღრიცხვო პოლიტიკის სამომავლო ცვლილებები (გაგრძელება)

ცვლილებები ფასს (IFRS) 10-სა და ბასს (IAS) 28-ში „აქტივების გაყიდვა ან კაპიტალში შეტანა ინვესტორსა და მის მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოს შორის“

ცვლილება ეხება ფასს 10-ის და ბასს 28-ს შორის არსებულ შეუსაბამობას მეკავშირე ან ერთობლივი საწარმოსთვის მიყიდულ ან გადაცემულ შვილობილ კომპანიაზე კონტროლის დაკარგვასთან მიმართებაში. აღნიშნული ცვლილებები განმარტავს, რომ ისეთი აქტივების გაყიდვის ან გადაცემის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი, რომელიც ფასს 3-ის თანახმად წარმოადგენს ბიზნესსაქმიანობას ინვესტორსა და მის მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოს შორის, სრულად უნდა იქნეს აღიარებული. თუმცა, ისეთი აქტივების გაყიდვის ან გადაცემის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი, რომელიც არ წარმოადგენს ბიზნესსაქმიანობას, უნდა იქნეს აღიარებული მხოლოდ დაუკავშირებელი ინვესტორების წილების ოდენობით მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოში. ბასსს-მა ამ ცვლილებების ძალაში შესვლის თარიღი განუსაზღვრელი ვადით გადადო, მაგრამ საწარმო, რომელიც ვადაზე ადრე მიიღებს ცვლილებებს, ისინი პერსპექტიულად უნდა გამოიყენოს. ბანკი არ მოელის არსებით გავლენას ამ ცვლილებების გამოყენების შედეგად. მოსალოდნელი არ არის, რომ ამ ცვლილებებმა რამე გავლენა იქონიოს ბანკის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს (IFRS) 2 „წილობრივი ინსტრუმენტებით გადახდის კლასიფიკაცია და შეფასება“ – ცვლილებები ფასს 2-ში

ბასსს-მა გამოსცა ცვლილებები ფასს 2-ში „წილობრივი გადახდა“, რომლებიც ეხება სამ ძირითად საკითხს: უფლების გადაცემის პირობების გავლენას ფულით განსაზღვრული წილობრივი გადახდის გარიგებებზე; ურთიერთაქციითვის პირობის მქონე წილობრივი გადახდის გარიგების კლასიფიკაციას დაკავებული გადასახადის ვალდებულებებისთვის; და ბუღალტრულ აღრიცხვას ისეთ შემთხვევებში, როდესაც წილობრივი გადახდის გარიგების პირობების შეცვლის შედეგად, იგი ფულით განსაზღვრულის კატეგორიიდან წილობრივი ინსტრუმენტებით განსაზღვრულ კატეგორიაში გადადის. ცვლილების მიღებისას საწარმომს მოეთხოვებათ ცვლილებების გამოყენება წინა პერიოდების გადაანგარიშების გარეშე, მაგრამ რეტროსპექტიულად გამოყენება ნებადართულია იმ შემთხვევაში, თუ საწარმო მას გამოიყენებს სამივე ცვლილების შემთხვევაში და ასევე დაკმაყოფილება სხვა კრიტერიუმებიც. ცვლილებები ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია ვადაზე ადრე გამოყენება. მოსალოდნელი არ არის, რომ ამ ცვლილებებმა რამე გავლენა იქონიოს ბანკის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს (IFRS) 16 „იჯარა“

ფასს (IFRS) 16 გამოიცა 2016 წლის იანვარში და ჩაანაცვლებს ბასს (IAS) 17-ს „იჯარა“, ფაისკ (IFRIC) 4-ს „როგორ განესაზღვროთ, შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას“, იმკ (SIC) 15-ს „საოპერაციო იჯარა - სტიმულირება“ და იმკ (SIC) 27-ს „გარიგებების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას“. ფასს (IFRS) 16-ში მოცემულია იჯარის აღიარების, შეფასების, წარდგენისა და განმარტებითი შენიშვნების პრინციპები და მოიჯარისგან მოითხოვს ყველა იჯარის აღრიცხვას საბალანსო უწყისზე. ბასს (IAS) 17-ის მიხედვით ფინანსური იჯარის აღრიცხვის ანალოგიურად. სტანდარტი ითვალისწინებს აღიარების ორ გამონაკლისს მოიჯარეებისთვის - „დაბალი ღირებულები მქონე“ აქტივების იჯარა და მოკლევადიანი იჯარა (ე. ი. იჯარა 12-თვიანი ან ნაკლები ვადით).

საიჯარო ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღისთვის, მოიჯარე აღიარებს ვალდებულებას საიჯარო გადასახადის გადახდის თაობაზე (ე. ი. საიჯარო ვალდებულება) და აქტივს, რომელიც წარმოადგენს უფლებას შესაბამისი აქტივის გამოყენებაზე იჯარის ვადის განმავლობაში (ე. ი. აქტივის გამოყენების უფლება). მოიჯარეები ვალდებულები არიან ცალკე აღიარონ საიჯარო ვალდებულების საპროცენტო ხარჯი და აქტივის გამოყენების უფლების საამორტიზაციო ხარჯი.

მოიჯარე ასევე ვალდებულია გარკვეული მოვლენების დადგომის შემთხვევაში (მაგ. იჯარის ვადის შეცვლა, სამომავლო საიჯარო გადასახადებში ცვლილება მათი განსაზღვრისთვის გამოყენებული ინდექსის ან განაკვეთის ცვლილების გამო) ხელახლა შეაფასოს საიჯარო ვალდებულება. მოიჯარე ზოგადად საიჯარო ვალდებულების ხელახლა შეფასების თანხას აღიარებს, როგორც აქტივის გამოყენების უფლების კორექტირებას.

მოიჯარის აღრიცხვა ფასს 16-ის მიხედვით არსებითად არ განსხვავდება ბასს 17-ის თანახმად არსებული პრაქტიკისგან. მოიჯარე გააგრძელებს ყველა იჯარის კლასიფიცირებას იმავე პრინციპით, როგორც ბასს 17-ის მიხედვით და გამოიწვევს ორი ტიპის იჯარას: საოპერაციოს და ფინანსურს.

(ათას ლარში)

5. სააღრიცხვო პოლიტიკის სამომავლო ცვლილებები (გაგრძელება)*ფასს (IFRS) 16 „იჯარა“ (გაგრძელება)*

ფასს 16-ით როგორც მოიჯარეებს, ისე მეიჯარეებს ავალდებულებს უფრო დეტალური განმარტებითი შენიშვნების წარმოდგენას, ვიდრე ეს ბასს 17-ის თანახმად ხდებოდა.

ფასს 16 ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია ნაადრევი გამოყენება, თუმცა საწარმოს მიერ ფასს 15-ის გამოყენებაზე ადრე არა. მოიჯარემ შეიძლება გადაწყვიტოს სტანდარტის გამოყენება მთლიანად რეტროსპექტული ან მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომით. სტანდარტის გარდამავალი დებულებები გარკვეულ შეღავათებს ითვალისწინებს. 2018 წელს ბანკი გააგრძელებს თავის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე ფასს 16-ის პოტენციური გავლენის შეფასებას.

ფასს (IFRS) 17 „სადაზღვევო ხელშეკრულებები“

2017 წლის მაისში ბასსს-მა გამოუშვა ფასს 17 „სადაზღვევო ხელშეკრულებები“ (ფასს 17), ამომწურავი ახალი სააღრიცხვო სტანდარტი სადაზღვევო ხელშეკრულებებისთვის, რომელიც მოიცავს აღიარების და შეფასების, წარდგენისა და ინფორმაციის გახსნის საკითხებს. ძალაში შესვლის შემდეგ ფასს 17 ჩაანაცვლებს ფასს 4-ს „სადაზღვევო ხელშეკრულებები“ (ფასს 4) რომელიც გამოიცა 2005 წელს. ფასს 17 ეხება ყველა ტიპის სადაზღვევო ხელშეკრულებას (მაგ. სიცოცხლის, არასიცოცხლის, პირდაპირი დაზღვევა და გადაზღვევა), განურჩევლად იმისა, თუ რა ტიპი საწარმო აფორმებს მათ, ასევე გარკვეულ გარანტიებს და ფინანსურ ინსტრუმენტებს დისკრეციული მონაწილეობის პარამეტრებით.

მის მოქმედების არეალში არ შედის გარკვეული გამონაკლისები. ფასს 17-ის ზოგადი მიზანია სააღრიცხვო მოდელის შექმნა სადაზღვევო ხელშეკრულებები, რომელიც უფრო სასარგებლო და თანმიმდევრული იქნება მზღვევებისთვის. ფასს 4-ის მოთხოვნებისგან განსხვავებით, რომლებისგანაც მანამდე მოქმედი ადგილობრივი სააღრიცხვო პოლიტიკები მეტწილად გათავისუფლებულია, ფასს 17 წარმოადგენს კომპლექსურ მოდელს სადაზღვევო ხელშეკრულებებისთვის, რომელიც ბუღალტრული აღრიცხვის ყველა შესაბამის ასპექტს მოიცავს.

ფასს 17 ძალაში შედის 2021 წლის 1 იანვრიდან დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისთვის, და სავალდებულოა შედარებადი რიცხობრივი მონაცემების წარმოდგენა. ნებადართულია ვადაზე ადრე გამოყენებაც, თუ საწარმო ასევე გამოიყენებს ფასს 9-სა და ფასს 15-ს, ფასს 17-ის პირველად გამოყენებამდე ან გამოყენების დღეს. ბანკი შეაფასებს ფასს 17-ის პოტენციურ გავლენას თავის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე, ბანკის მიერ გაცემული არაფინანსური გარანტიების აღრიცხვის ჩათვლით.

საინვესტიციო ქონების გადატანა - ცვლილება ბასს 40-ში

ცვლილებები განმარტავს, როდის უნდა გადაიტანოს საწარმომ ქონება, მათ შორის სამშენებლო ან მოწყობითი სამუშაოების პროცესში მყოფი ქონება, საინვესტიციო ქონებაში ან საინვესტიციო ქონებიდან. ცვლილებების მიხედვით, მიზნობრიობის ცვლილება ხდება მაშინ, როდესაც ქონება აკმაყოფილებს ან აღარ აკმაყოფილებს საინვესტიციო ქონების განმარტებას და არსებობს დანიშნულების შეცვლის მტკიცებულება. მხოლოდ ხელმძღვანელობის მიერ ქონების ექსპლუატაციის განზრახვის შეცვლა არ წარმოადგენს ქონების დანიშნულების შეცვლისთვის საკმარის მტკიცებულებას. საწარმოებმა ეს ცვლილებები პერსპექტიულად უნდა გამოიყენონ იმ დანიშნულების შეცვლაზე, რომელიც ხდება იმ წლიური საანგარიშგებო პერიოდის დაწყებისას ან დაწყების შემდეგ, რომელშიც საწარმო პირველად იყენებს ამ ცვლილებებს. საწარმომ ხელახლა უნდა შეაფასოს ამ თარიღისთვის თავის მფლობელობაში არსებული ქონების კლასიფიკაცია და, თუ ეს შესაძლებელია, მოახდინოს ქონების რეკლასიფიკაცია, რათა ასახოს ამ თარიღისთვის არსებული პირობები. რეტროსპექტულად გამოყენება ბასს 8-ის შესაბამისად ნებადართულია მხოლოდ მაშინ, თუ ის შესაძლებელია წარსული მოვლენების შეფასების გარეშე. ძალაშია 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისათვის. ბანკი არ მოელის არსებით გავლენას ამ ცვლილებების გამოყენების შედეგად.

(ათას ლარში)

5. სააღრიცხვო პოლიტიკის სამომავლო ცვლილებები (გაგრძელება)**წლიური გაუმჯობესება 2014-2016 წ. წ. ციკლი**

ეს გაუმჯობესებები მოიცავს:

ფასს (IFRS) 1 „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება“ – მოკლევადიანი გამონაკლისების გაუქმება მათთვის, ვინც ფინანსური ანგარიშგების სტანდარტებს პირველად იყენებს

მოკლევადიანი გამონაკლისები ფასს 1-ის ე3-ე7 პუნქტებში წაიშალა, რადგან მათ უკვე შეასრულეს თავიანთი დანიშნულება. ცვლილება ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვრიდან. ეს ცვლილება ბანკზე არ იმოქმედებს.

ბასს (IAS) 28 „ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში“ - განმარტება, რომ ინვესტიციის ობიექტების სამართლიანი ღირებულებით შეფასება მოგებაში ან ზარალში ასახვით თითოეული ინვესტიციის შემთხვევაში ინდივიდუალურად უნდა მოხდეს

ცვლილებები განმარტავს, რომ:

- ▶ საწარმოს, რომელიც არის სარისკო კაპიტალის ორგანიზაცია ან სხვა ნებადართული საწარმო, თითოეული ინვესტიციის თავდაპირველი აღიარებისას მათი ინდივიდუალურად განხილვის საფუძველზე, შეუძლია შეაფასოს თავისი ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით.
- ▶ თუ საწარმო, რომელიც თვითონ არ არის საინვესტიციო საწარმო, ფლობს წილს მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოში, რომელიც საინვესტიციო საწარმოა, მას შეუძლია, კაპიტალ-მეთოდის გამოყენებისას არჩიოს სამართლიანი ღირებულებით შეფასების შენარჩუნება, რომელსაც იყენებს ეს საინვესტიციო მეკავშირე თუ ერთობლივი საწარმო საინვესტიციო მეკავშირე თუ ერთობლივი საწარმოს წილის მიმართ შვილობილ კომპანიებში. ეს არჩევანი კეთდება ინდივიდუალურად თითოეული საინვესტიციო მეკავშირე ან ერთობლივი საწარმოს შემთხვევაში, მომდევნო თარიღებიდან უგვიანესით: (ა) ხდება საინვესტიციო მეკავშირე ან ერთობლივი საწარმოს თავდაპირველი აღიარება; (ბ) მეკავშირე ან ერთობლივი საწარმო ხდება საინვესტიციო საწარმო; და (გ) საინვესტიციო მეკავშირე ან ერთობლივი საწარმო პირველად ხდება შშობელი კომპანია.

ეს ცვლილებები გამოყენებული უნდა იქნეს რეტროსპექტულად და ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვრიდან. ბანკი არ მოელის რაიმე გავლენას ამ ცვლილებების გამოყენების შედეგად.

ფასს 9-ის „ფინანსური ინსტრუმენტები“ გამოყენება ფასს 4-თან ერთად „სადაზღვევო კონტრაქტები“ - ცვლილებები ფასს 4-ში

ცვლილებები ეხება საკითხებს, რომლებიც წამოიჭრა ფინანსური ინსტრუმენტების შესახებ ახალი სტანდარტის - ფასს 9-ის დანერგვის შედეგად, ფასს 17-ის „სადაზღვევო ხელშეკრულებები“ დანერგვამდე, რომელიც ჩაანაცვლებს ფასს 4-ს. ეს ცვლილებები საწარმოებს სადაზღვევო კონტრაქტების გაფორმების ორ ვარიანტს სთავაზობს: დროებითი გამონაკლისი ფასს 9-ის გამოყენებიდან და „გადაფარვის“ მიდგომა. დროებითი გამონაკლისის გამოყენება შესაძლებელია 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისთვის. საწარმოს შეუძლია გადაფარვის მიდგომის არჩევა, როდესაც იგი პირველად გამოიყენებს ფასს 9-ს და ამ მიდგომის გამოყენება რეტროსპექტულად იმ ფინანსურ აქტივებთან მიმართებით, რომლებზეც მოქმედებს ფასს 9-ზე გადასვლა. კომპანია გადაფარვის მიდგომის ამსახველ შედარებად ინფორმაციას მხოლოდ და მხოლოდ მაშინ გადაიანგარიშებს, თუ საწარმო გადაიანგარიშებს შედარებად ინფორმაციას ფასს 9-ის გამოყენებისას. ეს ცვლილებები ბანკზე გავლენას არ ახდენს.

ფაისკ (IFRIC) ინტერპრეტაცია 22 „უცხოური ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები და წინასწარი გადახდა“

ინტერპრეტაციის თანახმად, წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული არაფულადი აქტივის ან არაფულადი ვალდებულების აღიარების შეწყვეტისას შესაბამისი აქტივის, ხარჯის ან შემოსავლის (ან მისი ნაწილის) თავდაპირველი აღიარების დროს გამოყენებული სპოტ სავალუტო კურსის განსაზღვრისას ოპერაციის თარიღად ჩაითვლება ის თარიღი, რომლითაც საწარმო თავდაპირველად აღიარებს წინასწარი გადახდით მიღებულ არაფულად აქტივს ან არაფულად ვალდებულებას. ინტერპრეტაცია ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვრიდან

(ათას ლარში)

5. სააღრიცხვო პოლიტიკის სამომავლო ცვლილებები (გაგრძელება)

ფაისკ (IFRIC) ინტერპრეტაცია 22 „უცხოური ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები და წინასწარი გადახდა“ (გაგრძელება)

დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ვინაიდან ბანკის არსებული პრაქტიკა შეესაბამება ინტერპრეტაციას, ბანკი არ მოელოა, რომ ის რამე გავლენას მოახდენს თავის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფაისკ (IFRIC) 23-ის ინტერპრეტაცია - „მოგების გადასახადით დაბეგვრასთან დაკავშირებული გაურკვევლობა“

ინტერპრეტაცია ეხება მოგებიდან გადასახადების აღრიცხვას ისეთ შემთხვევებში, როდესაც საგადასახადო დაბეგვრა შეიცავს გაურკვევლობას, რაც გავლენას ახდენს ბასს 12-ის გამოყენებაზე. იგი არ ვრცელდება ბასს 12-ის მოქმედების არეალის მიღმა მყოფ გადასახადებზე და მოსაკრებლებზე, ამასთან იგი არ მოიცავს კონკრეტულ მოთხოვნებს გაურკვევლობის შემცველ საგადასახადო დაბეგვრასთან დაკავშირებული ჯარიმებისა თუ საურავების შესახებ.

საწარმომ უნდა განსაზღვროს, გაურკვევლობის შემცველი თითოეული საგადასახადო დაბეგვრის შემთხვევა ცალკე განიხილოს, თუ გაურკვევლობის შემცველ ერთ ან მეტ საგადასახადო დაბეგვრასთან ერთად. ამას უნდა მოჰყვეს მიდგომა, რომელიც უკეთესად ახდენს გაურკვევლობის გადაწყვეტის პროგნოზირებას. ინტერპრეტაცია ასევე ეხება დაშვებებს, რომლებსაც საწარმო აკეთებს საგადასახადო ორგანოების მიმართ დარიცხული გადასახადების გადამოწმებისას, აგრეთვე იმას, თუ როგორ განიხილავს ის ფაქტებისა და გარემოებების ცვლილებებს.

ინტერპრეტაცია ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის, თუმცა მასზე გადასვლის გარკვეულ შეღავათებს ითვალისწინებს. ბანკი ინტერპრეტაციას გამოიყენებს მისი ძალაში შესვლის თარიღიდან. ვინაიდან ბანკი საქმიანობს რთულ საგადასახადო გარემოში, ინტერპრეტაციის გამოყენებამ შეიძლება გავლენა მოახდინოს მის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებასა და სავალდებულო განმარტებით შენიშვნებზე. გარდა ამისა, ბანკს შეიძლება დასჭირდეს პროცესებისა და პროცედურების შემუშავება ისეთი ინფორმაციის მისაღებად, რომელიც საჭიროა ინტერპრეტაციის დროულად გამოყენებისთვის.

6. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

	2017	2016	2015
მიმდინარე ანგარიშები სხვა საკრედიტო დაწესებულებებში	56,502	210,489	105,896
მიმდინარე ანგარიშები სებ-ში	52,786	51,705	44,979
ნაღდი ფულის ნაშთი სალაროში	52,690	49,426	60,670
ვადიანი დეპოზიტები საკრედიტო დაწესებულებებში	49,664	4,716	56,231
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	211,642	316,336	267,776

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საკრედიტო დაწესებულებებში განთავსებული მიმდინარე ანგარიშების 75.24% განთავსებულია ორ არარეზიდენტ საკრედიტო დაწესებულებაში (2016 წ.: 90.42%, 2015 წ.: 85.4%).

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 49,664 ლარი განთავსდა საკრედიტო დაწესებულებებში ხუთ ვადიან ანაბარზე, რომლებსაც ვადა ეწურებოდა 2018 წლის იანვარში (2016 წ.: საკრედიტო დაწესებულებებში განთავსებული 4,716 ლარის ვადიანი ანაბრები შედგებოდა ორი ვადიანი ანაბრისგან, რომლებსაც ვადა 2017 წლის იანვარში ეწურებოდა, 2015 წ.: საკრედიტო დაწესებულებებში განთავსებული 56,231 ლარის ვადიანი ანაბრები შედგებოდა ორი ვადიანი ანაბრისგან, რომლებსაც ვადა 2016 წლის იანვარში ეწურებოდა), ხოლო მათი წლიური საპროცენტო განაკვეთი 0.2%-დან 2.5%-მდე იყო (2016 წ.: 0.01%-დან 1.5%-მდე, 2015 წ.: 0.01%-დან 8.6%-მდე).

2017, 2016 და 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები იყო მაღალი და სტანდარტული საკრედიტო ხარისხისა და არ იყო ვადაგადაცილებული, ინდივიდუალურად გაუფასურებული ან რესტრუქტურირებული.

(ათას ლარში)

7. მოთხოვნები ბანკებისა და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მიმართ

	2017	2016	2015
სავალდებულო რეზერვები სებ-ში	116,302	141,920	84,937
შეზღუდული ნოსტრო ანგარიშები	114,006	–	–
ვადიანი დეპოზიტები საკრედიტო დაწესებულებებში	162	255	298
მოთხოვნები ბანკებისა და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	230,470	142,175	85,235

საკრედიტო დაწესებულებებს მოეთხოვებათ საქართველოს ეროვნულ ბანკში საპროცენტო სარგებლის მქონე დეპოზიტების (სავალდებულო რეზერვი) გახსნა, რომლის ოდენობაც დამოკიდებულია საკრედიტო დაწესებულებების მიერ მოზიდული თანხების მოცულობაზე. კანონმდებლობის შესაბამისად ბანკს შეზღუდული აქვს დეპოზიტზე არსებული თანხების გამოტანის უფლება.

2017 წელს აშშ დოლარის ანგარიშზე სავალდებულო რეზერვის ზედა ზღვრის საპროცენტო განაკვეთი განსაზღვრულია, როგორც აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემის პოლიტიკის განაკვეთს გამოკლებული 0.5% (2016 წ.: აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემის პოლიტიკის განაკვეთს გამოკლებული 0.5%, 2015 წ.: აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემის პოლიტიკის განაკვეთს გამოკლებული 0.5%), ხოლო ევროს ანგარიშზე - როგორც ევროპის ცენტრალური ბანკის განაკვეთს გამოკლებული 0.2% (2016 წ.: ევროპის ცენტრალური ბანკის განაკვეთი, 2015 წ.: ევროპის ცენტრალური ბანკის განაკვეთს გამოკლებული 0.5%).

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 162 ლარი (2016 წ.: 255 ლარი, 2015 წ.: 298 ლარი), რომელიც განეკუთვნებოდა ვადიან დეპოზიტებს, განთავსებული იყო გრძელვადიან დეპოზიტებზე და გამოყენებული იყო საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებთან ანგარიშსწორების ოპერაციების უზრუნველსაყოფად.

შეზღუდული წვდომის ფულადი სახსრები ნოსტრო ანგარიშებზე წარმოადგენს ვითიბი უკრაინაში განთავსებულ თანხებს, რომლებიც აშშ დოლარშია გამოხატული. ბანკს შეზღუდული აქვს დეპოზიტზე არსებული თანხების გამოტანის უფლება ადგილობრივი ნორმატიული აქტების თანახმად, რომლებიც უკრაინის მთავრობამ 2017 წლის მარტიდან ამოქმედდა. მშობელმა ბანკმა მკაფიოდ დააფიქსირა თავისი განზრახვა, რომ გასცეს გარანტია ბანკისთვის ვითიბი უკრაინაში განთავსებულ მთლიან ინვესტიციაზე იმ შემთხვევაში, თუ შეზღუდვა არ მოიხსნება 2018 წლის მარტის ბოლოსთვის. ამასთან, 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მშობელი ბანკისგან ნასესხები სახსრები შეიცავს ამ ინვესტიციის დასაფინანსებლად მიღებულ თანხებს. იხილეთ მე-17 შენიშვნა.

8. კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები

	2017	2016	2015
კორპორატიული სესხები	369,015	422,386	346,933
სამომხმარებლო სესხები	394,144	333,381	274,463
სესხები მცირე ბიზნესისთვის	209,409	203,531	153,853
ფიზიკური პირების ანაზრით უზრუნველყოფილი სესხები	9,234	5,612	6,871
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები, სულ	981,802	964,910	782,120
გამოკლებული - გაუფასურების რეზერვი	(31,326)	(31,146)	(35,728)
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები, წმინდა	950,476	933,764	746,392

(ათას ლარში)

8. კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები (გაგრძელება)

კლიენტებზე გაცემული სესხების და ავანსების გაუფასურების რეზერვი

კლიენტებზე გაცემული სესხების და ავანსების გაუფასურების რეზერვის შედარება ტიპების მიხედვით შემდეგია:

	კორპორატიული სესხები 2017 წ.	სამომხმარებლო სესხები 2017 წ.	სესხები მცირე ბიზნესისთვის 2017 წ.	სულ 2017 წ.
2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	23,797	6,041	1,308	31,146
წლის დანარიცხი/აღდგენა, ნეტო	(7,213)	6,087	(527)	(1,653)
საკურსო სხვაობები	(236)	(96)	14	(318)
ჩამოწერილი სესხების და ავანსების აღდგენა	1,676	1,014	490	3,180
ჩამოწერილი თანხები	(627)	(359)	(43)	(1,029)
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	17,397	12,687	1,242	31,326
ინდივიდუალური გაუფასურება	11,575	–	120	11,695
კოლექტიური გაუფასურება	5,822	12,687	1,122	19,631
	17,397	12,687	1,242	31,326
ინდივიდუალურად შეფასებული და გაუფასურებულად მიჩნეული სესხების მთლიანი თანხა, ინდივიდუალურად შეფასებული გაუფასურების რეზერვის გამოქვითვამდე	20,117	–	450	20,567

	კორპორატიული სესხები 2016 წ.	სამომხმარებლო სესხები 2016 წ.	სესხები მცირე ბიზნესისთვის 2016 წ.	სულ 2016 წ.
2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	24,778	9,381	1,569	35,728
წლის დანარიცხი/აღდგენა, ნეტო	(5,135)	5,559	236	660
საკურსო სხვაობები	1,896	277	97	2,270
ჩამოწერილი სესხების და ავანსების აღდგენა	2,558	581	418	3,557
ჩამოწერილი თანხები	(300)	(9,757)	(1,012)	(11,069)
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	23,797	6,041	1,308	31,146
ინდივიდუალური გაუფასურება	16,196	93	100	16,389
კოლექტიური გაუფასურება	7,601	5,948	1,208	14,757
	23,797	6,041	1,308	31,146
ინდივიდუალურად შეფასებული და გაუფასურებულად მიჩნეული სესხების მთლიანი თანხა, ინდივიდუალურად შეფასებული გაუფასურების რეზერვის გამოქვითვამდე	19,931	371	401	20,703

(ათას ლარში)

8. კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები (გაგრძელება)

კლიენტებზე გაცემული სესხების და ავანსების გაუფასურების რეზერვი (გაგრძელება)

	კორპორატიული სესხები 2015 წ.	სამომხმარებლო სესხები 2015 წ.	სესხები მცირე ბიზნესისთვის 2015 წ.	სულ 2015 წ.
2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	16,980	5,896	2,594	25,470
წლის დანარიცხი/აღდგენა, ნეტო	2,185	5,248	(1,441)	5,992
საკურსო სხვაობები	4,757	419	480	5,656
ჩამოწერილი სესხების და ავანსების აღდგენა	856	942	550	2,348
ჩამოწერილი თანხები	–	(3,124)	(614)	(3,738)
2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	24,778	9,381	1,569	35,728
ინდივიდუალური გაუფასურება	19,143	34	663	19,840
კოლექტიური გაუფასურება	5,635	9,347	906	15,888
	24,778	9,381	1,569	35,728
ინდივიდუალურად შეფასებული და გაუფასურებულად მიჩნეული სესხების მთლიანი თანხა, ინდივიდუალურად შეფასებული გაუფასურების რეზერვის გამოქვითვამდე	20,025	377	1,073	21,475

ინდივიდუალურად გაუფასურებული სესხები

საპროცენტო შემოსავალი იმ სესხებზე და ავანსებზე, რომელთა გაუფასურების რეზერვები აღიარებულია 2017 წლის 31 დეკემბრისთვის, შეადგენდა 1,019 ლარს (2016 წ.: 541 ლარი, 2015 წ.: 440 ლარი).

უზრუნველყოფის საგანი და საკრედიტო რისკის შემცირება

უზრუნველყოფისათვის საჭირო მოცულობა და ტიპი დამოკიდებულია კონტრაქტის საკრედიტო რისკის შეფასებაზე. ამ მიზნით შემუშავებულია უზრუნველყოფის ტიპებისა და შეფასების პარამეტრები და ინსტრუქციები.

მიღებული უზრუნველყოფის ძირითადი ტიპებია:

- ▶ კომერციული სესხებისათვის: უძრავი ქონება, სასაქონლო მატერიალური მარაგები, სავაჭრო დებიტორული დავალიანება და საბანკო გარანტიები და დეპოზიტები;
- ▶ საცალო სესხებისათვის - საბანკო დეპოზიტები, საცხოვრებელი ფართის გირაო, სასაქონლო მატერიალური მარაგები, საყოფაცხოვრებო აქტივები და მესამე მხარეთა თავდებობა.

ბანკი ასევე იღებს კლიენტის მშობელი კომპანიების გარანტიებს შვილობილი კომპანიების სესხების უზრუნველსაყოფად.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის მიერ წლის განმავლობაში დასაკუთრებულმა უზრუნველყოფამ (მიწა და შენობა-ნაგებობები) დასაკუთრების მომენტში არსებული ღირებულებით შეადგინა 10,404 ლარი (2016 წ.: 3,098 ლარი, 2015 წ.: 3,701 ლარი), რომელიც კლასიფიცირდა, როგორც საინვესტიციო ქონება და სასაქონლო-მატერიალური მარაგები დასაკუთრებული უზრუნველყოფის, შესაბამისად, 7,245 ლარისა და 3,159 ლარის ოდენობით (2016 წ.: 2,478 ლარი და 620 ლარი). იხილეთ მე-11 და მე-13 შენიშვნები.

ბანკის პოლიტიკით, დასაკუთრებული უზრუნველყოფის საგნების გაყიდვა რეგულირდება შესაბამისი პროცედურებით. რეალიზაციიდან მიღებული თანხები გამოიყენება აუნაზღაურებელი მოთხოვნების შესამცირებლად ან დასაფარად. ზოგადად, ბანკი დასაკუთრებულ აქტივებს კომერციული მიზნებისათვის არ იყენებს.

(ათას ლარში)

8. კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები (გაგრძელება)**კლიენტებზე გაცემული სესხებისა და ავანსების კონცენტრაცია**

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის სესხების კონცენტრაცია ათ უმსხვილეს მესამე მხარე მსესხებელზე შეადგენდა 180,590 ლარს, ანუ მთლიანი სასესხო პორტფელის 18.39%-ს (2016 წ.: 221,507 ლარი, ანუ 22.96%, 2015 წ.: 183,023 ლარი ანუ 23.4%). აღნიშნული სესხებისათვის შეიქმნა რეზერვი 1,841 ლარის (2016 წ.: 2,525 ლარი, 2015 წ.: 15,221 ლარი) ოდენობით.

კლიენტებზე გაცემულ მთლიან სესხებში შედის ერთი მსესხებლის მიმართ გაცემული 26,384 ლარის კრედიტის ოდენობა, რაც მთლიანი პორტფელის 2.69%-ს შეადგენს (2016 წ.: 34,532 ლარი, ანუ 3.58%, 2015 წ.: 32,506 ლარი, ანუ 4.16%), რასაც ერიცხება წლიური 10% და ვადა ეწურება 2018 წლის მაისში.

კლიენტებზე გაცემული სესხები კლიენტების ტიპების მიხედვით:

	2017	2016	2015
მეწარმე იურიდიული პირები	525,179	585,865	474,353
ფიზიკური პირები	442,847	375,022	307,767
სახელმწიფო ორგანიზაციები	13,776	4,023	–
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები, სულ	981,802	964,910	782,120

2017, 2016 და 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კლიენტებზე გაცემული სესხებისა და ავანსების (რომლებიც ძირითადად საქართველოშია გაცემული) განაწილება დარგების მიხედვით:

	2017	2016	2015
ფიზიკური პირები	442,847	375,022	307,767
ვაჭრობა და მომსახურება	245,793	334,637	257,945
წარმოება	83,816	55,512	58,292
ენერგეტიკა	64,415	27,900	9,291
სოფლის მეურნეობა და საკვები პროდუქტების გადამუშავება	47,366	51,859	41,167
უმრავი ქონების მშენებლობა	42,097	55,702	57,818
ფინანსური	18,108	21,173	18,094
ტრანსპორტი და ტელეკომუნიკაციები	12,824	11,131	9,044
სხვა	24,536	31,974	22,702
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები, სულ	981,802	964,910	782,120

9. გასაყიდად გამიზნული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გასაყიდად გამიზნული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები მოიცავდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფასიან ქაღალდებს 107,437 ლარის მთლიანი საბალანსო ღირებულებით (2016 წ.: 68,494 ლარი, 2015 წ.: 8,669 ლარი), სეზ-ის ფასიან ქაღალდებს 13,233 ლარის მთლიანი საბალანსო ღირებულებით (2016 წ.: 11,965 ლარი, 2015 წ.: 46,864 ლარი) და კომუნალური გადახდების კლირინგით დაკავებული ერთი ქართული კომპანიის კორპორატიულ აქციებს 54 ლარის მთლიანი საბალანსო ღირებულებით (2016 წ.: 54 ლარი, 2015 წ.: 54 ლარი). ზემოაღნიშნული ფასიანი ქაღალდების გადაფასების შედეგად არარეალიზებულმა შემოსულობამ/ზარალმა შეადგინა 568 ლარი (2016 წ.: 1,550 ლარი შემოსულობა, 2015 წ.: 607 ლარი ზარალი).

წლის განმავლობაში ყველა საინვესტიციო ფასიან ქაღალდზე სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული არარეალიზებული შემოსულობა იყო 412 ლარი (2016 წ.: 2,223 ლარის ზარალი, 2015 წ.: 607 ლარის ზარალი), ხოლო რეალიზებული ზარალი იყო 1,394 ლარი (2016 წ.: 66 ლარი, 2015 წ.: 0 ლარი).

(ათას ლარში)

10. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების მოძრაობა 2017, 2016 და 2015 წლებში ასეთია:

	მიწა და შენობა- ნაგებობები	კომპიუ- ტერული და საკომუ- ნიკაციო ტექნიკა	ავიჯი და საოფისე ტექნიკა	კომუნა- ლური სისტემები და მასთან დაკავში- რებული მოწყობი- ლობები	სატრან- სპორტო საშუა- ლებები	საიჯარო გაუმჯო- ბესები	დაუმთავ- რებელი მშენებლობა	სულ
თვითღირებულება ან გადაფასებული ღირებულება								
31 დეკემბერი, 2014 წ.	23,909	8,695	8,608	1,938	1,606	2,598	–	47,354
შემოსვლები	–	2,347	778	–	184	–	684	3,993
შიდა გადაცემა	196	–	–	–	–	488	(684)	–
გასვლები	–	(198)	(40)	–	–	–	–	(238)
გადაფასების ეფექტი	930	–	–	–	–	(934)	–	(4)
თვითღირებულება ან გადაფასებული ღირებულება								
31 დეკემბერი, 2015 წ.	25,035	10,844	9,346	1,938	1,790	2,152	–	51,105
შემოსვლები	–	1,056	754	–	38	–	1,182	3,030
შიდა გადაცემა	979	–	–	–	–	203	(1,182)	–
გასვლები	–	(428)	(202)	–	(17)	(12)	–	(659)
31 დეკემბერი, 2016 წ.	26,014	11,472	9,898	1,938	1,811	2,343	–	53,476
შემოსვლები	–	743	827	–	280	9	950	2,809
შიდა გადაცემა	322	–	–	–	–	628	(950)	–
გასვლები	–	(316)	(134)	–	(185)	–	–	(635)
31 დეკემბერი, 2017 წ.	26,336	11,899	10,591	1,938	1,906	2,980	–	55,650
დარიცხული ცვეთა და გაუფასურება								
31 დეკემბერი, 2015 წ.	–	(7,471)	(6,061)	(296)	(1,092)	–	–	(14,920)
ცვეთის დანარიცხი	(532)	(1,294)	(1,214)	(68)	(234)	(384)	–	(3,726)
გასვლები	–	405	181	–	17	1	–	604
31 დეკემბერი, 2016 წ.	(532)	(8,360)	(7,094)	(364)	(1,309)	(383)	–	(18,042)
ცვეთის დანარიცხი	(553)	(1,292)	(1,045)	(68)	(213)	(400)	–	(3,571)
გასვლები	–	295	133	–	185	–	–	613
31 დეკემბერი, 2017 წ.	(1,085)	(9,357)	(8,006)	(432)	(1,337)	(783)	–	(21,000)
წმინდა საბალანსო ღირებულება								
31 დეკემბერი, 2015 წ.	25,035	3,373	3,285	1,642	698	2,152	–	36,185
31 დეკემბერი, 2016 წ.	25,482	3,112	2,804	1,574	502	1,960	–	35,434
31 დეკემბერი, 2017 წ.	25,251	2,542	2,585	1,506	569	2,197	–	34,650

2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დამოუკიდებელმა შემფასებელმა დაადგინა ბანკის მიწისა და შენობა-ნაგებობების სამართლიანი ღირებულება. შემფასებელი არის ასეთი ტიპის ძირითადი საშუალებების შეფასების სპეციალისტი.

საბაზრო ფასის დასადგენად გამოყენებული იქნა ინფორმაცია აქტიური ბაზრიდან. საბაზრო მიდგომა გამოიყენებოდა სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის მიზნით, შემოსავლების მიდგომა გამოიყენებოდა მიღებული შეფასებების დასადასტურებლად, ხოლო დანახარჯების მეთოდი გამოიყენებოდა ქონების ღირებულების განსაზღვრად მაშინ, როდესაც არ არსებობდა მსგავსი საკუთრებისთვის იმავე სივრცულ მონაკვეთში მიმდინარე გაყიდვებზე ან საიჯარო განაკვეთებზე ინფორმაცია.

(ათას ლარში)

10. ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკმა მოახდინა თავისი შენობა-ნაგებობების საბაზრო ფასების ანალიზი და დაასკვნა, რომ მათი საბაზრო ფასი არსებითად არ განსხვავდებოდა მათი საბალანსო ღირებულებისგან. ბანკის მიწისა და შენობა-ნაგებობების სამართლიანი ღირებულების შეფასება დაწვრილებით აღწერილია 24-ე შენიშვნაში.

მიწისა და შენობა-ნაგებობების გადაფასება რომ არ მომხდარიყო, თავდაპირველი თვითღირებულება 2017, 2016 და 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იქნებოდა 32,597 ლარი (2016 წ.: 32,275 ლარი, 2015 წ.: 31,295 ლარი), ხოლო დარიცხული ცვეთა შეადგენდა 11,316 ლარს (2016 წ.: 10,626 ლარი, 2015 წ.: 9,944 ლარი).

2017, 2016 და 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ექსპლუატაციაში მყოფი, მაგრამ სრულად გაცვეთილი ძირითადი საშუალებების მთლიანი ღირებულება შეადგენდა 13,358, 8,946, 7,965 ლარს, შესაბამისად.

11. საინვესტიციო ქონება

	2017	2016	2015
საწყისი ნაშთი 1 იანვრის მდგომარეობით	20,336	26,678	24,352
შემოსვლები	7,245	2,478	3,701
გასვლები	(5,455)	(11,795)	(2,798)
არარეალიზებული შემოსულობა გადაფასებიდან	2,430	2,975	1,423
საბოლოო ნაშთი 31 დეკემბრის მდგომარეობით	24,556	20,336	26,678

საინვესტიციო ქონება არის მიწისა და შენობებისგან შემდგარი უძრავი ქონება, რომელიც ბანკმა მიიღო დაუფარავი სესხების უზრუნველყოფის საგნების დასაკუთრებით. იხილეთ მე-8 შენიშვნა.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დამოუკიდებელმა შემფასებელმა განსაზღვრა ბანკის საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულება. შემფასებელი არის ასეთი ტიპის ქონების შეფასების სპეციალისტი. სამართლიანი ღირებულება არის ის თანხა, რომლითაც შეფასების დღეს შეიძლება აქტივი გაიყვალოს საქმის მცოდნე და გარიგების მოსურნე მხარეებს შორის „გაშლილი ხელის პრინციპით“ შეფასების საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის სტანდარტების შესაბამისად.

საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა აქტიური ბაზრის მონაცემების საფუძველზე. საბაზრო მიდგომა გამოიყენებოდა სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის მიზნით, შემოსავლების მიდგომა გამოიყენებოდა მიღებული შეფასებების დასადასტურებლად, ხოლო დანახარჯების მეთოდი გამოიყენებოდა ქონების ღირებულების განსაზღვრად მაშინ, როდესაც არ არსებობდა მსგავსი საკუთრებისთვის იმავე სივრცულ მონაკვეთში მიმდინარე გაყიდვებზე ან საიჯარო განაკვეთებზე ინფორმაცია.

12. გადასახადები

2016 წლის ივნისში საქართველოს საგადასახადო კანონში ცვლილებები შევიდა მოგების გადასახადთან დაკავშირებით. ცვლილებები ძალაში შედის 2017 წლის 1 იანვრიდან და ვრცელდება საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, რომლებისთვისაც ძალაში შესვლის თარიღი 2019 წლის 1 იანვრით განისაზღვრა. ახალი ნორმატიული აქტების თანახმად, მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, და არა მოგება, რომელიც მიღებული იქნა არსებული ნორმატიული აქტების შესაბამისად. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. კომპანიებს უფლება ექნებათ ჩაითვალონ 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით.

(ათას ლარში)

12. გადასახადები (გაგრძელება)

ამ ცვლილებების ამოქმედების შემდეგ, 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკმა თავისი გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები ხელახლა შეაფასა საგადასახადო განაკვეთებით, რომელთა ამოქმედებაც მოსალოდნელია იმ პერიოდში, როდესაც აქტივის რეალიზაცია და ვალდებულების გასტუმრება ხდება. ბასს 12-ის „მოგების გადასახადი“ თანახმად, ბანკმა გაუნაწილებელი მოგებისთვის გამოიყენა 0%-იანი საგადასახადო განაკვეთი იმ აქტივებისა და ვალდებულებების შემთხვევაში, რომელთა რეალიზაცია ან გასტუმრება მოსალოდნელია 2019 წლის 1 იანვრიდან ცვლილების ამოქმედების პერიოდებში.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში ზემოაღნიშნული ცვლილებები ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად, როგორცაა მაგალითად, არასაბაზრო ფასით შესრულებული გარიგებები, ხარჯები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ბიზნესსაქმიანობასთან, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება. ასეთი ოპერაციების დაბეგვრა სცდება ბასს 12-ის „მოგებიდან გადასახადები“ მოქმედების არეალს და 2019 წლის 1 იანვრიდან აღირიცხება საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული გადასახადების მსგავსად. საგადასახადო ცვლილებები, რომლებიც უკავშირდება მსგავსი მოგების განაწილებას, არ ახდენს გავლენას ბანკის 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

2017, 2016 და 2015 წლებში ბანკის მოგება იბეგრება 15%-იანი საგადასახადო განაკვეთით. მოგების გადასახადის ეფექტური განაკვეთი განსხვავდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საგადასახადო განაკვეთისგან. კანონმდებლობით გათვალისწინებული და რეალური განაკვეთების მიხედვით მოგების გადასახადის სარგებლის ხარჯის შედარება ასეთია:

მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს:

	2017	2016	2015
მიმდინარე გადასახადის ხარჯი	(3,979)	(2,045)	–
გადავადებული საგადასახადო ხარჯი - დროებითი სხვაობების წარმოშობა და გაუქმება.	(30)	2,793	(2,659)
მინუს: სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული გადავადებული გადასახადი	–	(457)	324
მოგების გადასახადის (ხარჯი)/სარგებელი	(4,009)	291	(2,335)

მოგების გადასახადის ეფექტური განაკვეთი განსხვავდება კანონმდებლობით გათვალისწინებული მოგების გადასახადის განაკვეთისგან. ქვემოთ კანონმდებლობით გათვალისწინებული განაკვეთების მიხედვით მოგების გადასახადის ხარჯი შესაბამისობაშია მოყვანილი გადასახადის რეალურ ოდენობასთან:

	2017	2016	2015
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადით დაბეგვრამდე	36,378	27,153	17,315
კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადის განაკვეთი	15%	15%	15%
თეორიული მოგების გადასახადის ხარჯი კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადის განაკვეთით	(5,457)	(4,073)	(2,597)
ცვლილება აუღიარებელ გადავადებულ საგადასახადო აქტივებში (ვადაგასული ნაწილის გარდა)	–	–	1,286
მომდევნო პერიოდზე გადატანილი წმინდა საგადასახადო ზარალის ვადაგასული ნაწილის საგადასახადო ეფექტი	–	–	(1,670)
გამოუქვითავი ხარჯები	(39)	(31)	(132)
შემოსავლები, რომლებიც არ ექვემდებარება დაბეგვრას, შემცირებული საგადასახადო მიზნებისათვის აღიარებული შემოსავლებით	1,631	1,000	778
საგადასახადო კანონმდებლობის ცვლილების ეფექტი	(144)	3,395	–
მოგების გადასახადის (ხარჯი)/სარგებელი	(4,009)	291	(2,335)

(ათას ლარში)

12. გადასახადები (გაგრძელება)

გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები 31 დეკემბრის მდგომარეობით და მათი მოძრაობა შესაბამის წლებში შემდეგია:

	დროებითი სხვაობების წარმოშობა და გაუქმება							
	პირდაპირ			მოგებაზე პირდაპირ			მოგება	
	მოგება- ზარალის ანგარიშ- გებაში	სხვა სრული შემოსავლი ს ანგარიშში	2015	მოგებაზე ზარალის ანგარიშ- გებაში	სხვა სრულ შემოსა- ვალში	2016	ზარალის ანგარიშ- გებაში	2017
2014	2015	2016	2017	2015	2016	2017	2017	2017
გამოსაქვითი დროებითი სხვაობების საგადასახადო ეფექტი								
მომდევნო პერიოდებზე გადატანილი ზარალი	2,571	(2,571)	–	–	–	–	–	–
ფინანსური ინსტრუმენტების კორექტირება ეფექტური საპროცენტო განაკვეთების შესაბამისად	1,391	(264)	–	1,127	341	–	1,468	(102)
დარიცხული ხარჯი	1,176	30	–	1,206	234	–	1,440	(80)
გასაყიდად გამიზნული ფასიანი ქაღალდები	161	–	–	161	(161)	–	–	–
სხვა	307	(15)	–	292	(280)	–	12	15
აულიარებელი გადავადებული საგადასახადო აქტივები	5,606	(2,820)	–	–	–	–	–	–
გადავადებული საგადასახადო აქტივები	4,320	(1,534)	–	2,786	134	–	2,920	(167)
დასაბეგრი დროებითი სხვაობების საგადასახადო ეფექტი								
სესხების გაუფასურების რეზერვი	(1,883)	(476)	(1,883)	(2,359)	1,230	–	(1,129)	(135)
ძირითადი საშუალებები საინვესტიციო ქონება	(1,050)	(139)	(1,050)	(1,513)	713	457	(343)	168
გაუფასურების და სხვა დანაკარგების რეზერვი	(52)	(110)	(52)	(162)	162	–	–	–
ფინანსური ინსტრუმენტების კორექტირება ეფექტური საპროცენტო განაკვეთით	(246)	(80)	(246)	(326)	97	–	(229)	104
გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები	(4)	4	(4)	–	–	–	–	–
წმინდა გადავადებული საგადასახადო აქტივები/ (ვალდებულებები)	(3,235)	(801)	(324)	(4,360)	2,202	457	(1,701)	(1,564)
	1,085	(2,335)	(324)	(1,574)	2,336	457	1,219	(30)

(ათას ლარში)

13. სხვა აქტივები და ვალდებულებები

სხვა აქტივებს მიეკუთვნება:

	2017	2016	2015
ფინანსური აქტივები			
დაუსრულებელი ანგარიშსწორება ფულადი გადარიცხვებით	3,490	4,179	687
წარმოებული ფინანსური აქტივები	1,290	142	2
გარანტიებზე და აკრედიტივებზე დარიცხული მისაღები საკომისიო	58	65	100
სხვა	9	15	15
ფინანსური აქტივები, სულ	4,847	4,401	804
არაფინანსური აქტივები			
არამატერიალური აქტივები	8,183	7,927	2,338
წინასწარ გაწეული ხარჯები	3,734	2,230	2,278
დასაკუთრებული უზრუნველყოფის სასაქონლო-მატერიალური მარაგები	3,159	620	–
გადახდილი ავანსები	1,472	688	306
ხელმისაწვდომი სასაქონლო-მატერიალური მარაგები	633	367	135
წინასწარ გადახდილი საოპერაციო გადასახადები	301	–	8
სხვა	156	4	223
არაფინანსური აქტივები, სულ	17,638	11,836	5,288
სხვა აქტივები	22,485	16,237	6,092

(ათას ლარში)

13. სხვა აქტივები და ვალდებულებები (გაგრძელება)

არამატერიალური აქტივების მოძრაობა 2017, 2016 და 2015 წლების განმავლობაში ასეთი იყო:

	<i>არამატერიალური აქტივები</i>
თვითღირებულებით	
1 იანვარი, 2015 წ.	2,769
შემოსვლები	1,425
31 დეკემბერი, 2015 წ.	4,194
შემოსვლები	6,158
31 დეკემბერი, 2016 წ.	10,352
შემოსვლები	1,528
გასხვისება და ჩამოწერა	(2)
31 დეკემბერი, 2017 წ.	11,878
აკუმულირებული ამორტიზაცია და გაუფასურება	
1 იანვარი, 2015 წ.	(1,432)
ამორტიზაციის დანარიცხი წლის განმავლობაში	(424)
31 დეკემბერი, 2015 წ.	(1,856)
ამორტიზაციის დანარიცხი წლის განმავლობაში (22-ე შენიშვნა)	(569)
31 დეკემბერი, 2016 წ.	(2,425)
ამორტიზაციის დანარიცხი წლის განმავლობაში (22-ე შენიშვნა)	(1,270)
31 დეკემბერი, 2017 წ.	(3,695)
წმინდა საბალანსო ღირებულება	
31 დეკემბერი, 2015 წ.	2,338
31 დეკემბერი, 2016 წ.	7,927
31 დეკემბერი, 2017 წ.	8,183

სხვა ვალდებულებები მოიცავს შემდეგს:

	<i>2017</i>	<i>2016</i>	<i>2015</i>
ფინანსური ვალდებულებები			
დარიცხული პრემია	7,528	8,165	6,465
ანგარიშსწორება პლასტიკური ბარათებით	3,373	2,147	2,257
დარიცხული ხარჯი	1,502	1,506	1,110
დაუსრულებელი ანგარიშსწორება ფულადი გადარიცხვებით	1,435	4,621	482
დარიცხული გამოუყენებელი შვებულება	1,044	978	933
წარმოებული ფინანსური ვალდებულებები	38	251	217
სხვა	35	77	99
სულ ფინანსური ვალდებულებები	14,955	17,745	11,563
არაფინანსური ვალდებულებები			
მიღებული ავანსები	2,947	1,354	591
ბანკის აქციონერებისათვის გადასახდელი დივიდენდები	1,075	605	387
გარეგანსური ვალდებულებების ანარიცხები	424	872	–
რეზერვი იურიდიული სარჩელებისთვის	102	102	463
გადასახდელი საოპერაციო გადასახადები	–	1,048	36
არაფინანსური ვალდებულებები, სულ	4,548	3,981	1,477
სხვა ვალდებულებები	19,503	21,726	13,040

(ათას ლარში)

13. სხვა აქტივები და ვალდებულებები (გაგრძელება)

2017, 2016 და 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები მოიცავდა უცხოური ვალუტის ფორვარდულ და სვოპ ოპერაციებს, რომლებიც სამართლიანი ღირებულების იერარქიებში მიეკუთვნებოდა მეორე დონეს.

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები შეფასებულია შეფასების მეთოდით, რომელიც იყენებს აქტიური ბაზრის მონაცემებს. გამოყენებული მეთოდიკა მოიცავს ფორვარდულ ფასწარმოქმნას, სვოპ მოდელებს, მიმდინარე ღირებულების გამოთვლის გამოყენებით. მოდელები შეიცავს სხვადასხვა მონაცემს მხარეთა საკრედიტო რეიტინგის, სავალუტო სვოპების და ფორვარდული კურსისა და საპროცენტო განაკვეთის მრუდის ჩათვლით. წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები მოიცავს შემდეგს:

	2017				2016			
	პირობითი თანხა		სამართლიანი ღირებულებები		პირობითი თანხა		სამართლიანი ღირებულებები	
	ვალდებულება		ვალდებულება		ვალდებულება		ვალდებულება	
	აქტივი	პა	აქტივი	პა	აქტივი	პა	აქტივი	პა
სავალუტო ხელშეკრულებები								
ფორვარდები და სვოპები - უცხოურ ვალუტაში	141,642	140,210	1,290	38	20,320	20,429	142	251
სულ წარმოებული აქტივები/ვალდებულებები	141,642	140,210	1,290	38	20,320	20,429	142	251

	2015			
	პირობითი თანხა		სამართლიანი ღირებულებები	
	ვალდებულება		ვალდებულება	
	აქტივი	პა	აქტივი	პა
სავალუტო ხელშეკრულებები				
ფორვარდები და სვოპები - უცხოურ ვალუტაში	52,733	52,948	2	217
სულ წარმოებული აქტივები/ვალდებულებები	52,733	52,948	2	217

14. ვალდებულებები ბანკებისა და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მიმართ

	2017	2016	2015
მშობელი ბანკისგან მიღებული სახსრები	85,518	260,738	162,691
ვადიანი ანაზრები და სესხები	26,039	25,175	59,329
მიმდინარე ანგარიშები	1,336	262	2,992
ვალდებულებები ბანკებისა და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	112,893	286,175	225,012

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მშობელი ბანკისგან სესხების დაფარვის ვადები მერყეობდა 2018 წლის აგვისტოდან 2020 წლის იანვრამდე (2016 წ.: 2017 წლის იანვრიდან 2019 წლის მარტამდე, 2015 წ.: 2016 წლის იანვრიდან 2016 წლის აგვისტომდე) და ერიცხებოდა წლიური საპროცენტო განაკვეთი 2.89%-იდან 3.73%-მდე (2016 წ.: 1.1%-დან 3.73%-მდე, 2015 წ.: 1%-დან 6.23%-მდე).

(ათას ლარში)

14. ვალდებულებები ბანკებისა და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მიმართ (გაგრძელება)

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ვადიან ანაბრებსა და სესხებს ვადა ეწურებოდა 2018 წლის იანვრიდან 2018 წლის დეკემბრამდე (2016 წ.: ვადიანი ანაბრებისა და სესხების დაფარვის ვადები მერყეობდა 2017 წლის იანვრიდან 2017 წლის ივნისამდე, 2015 წ.: ვადიანი ანაბრები და სესხები შედგებოდა ერთი ვადიანი ანაბრისგან, რომელსაც ვადა 2016 წლის იანვარში ეწურებოდა), ხოლო წლიური საპროცენტო განაკვეთი 4%-დან 7%-მდე იყო (2016 წ.: 0%-დან 7%-მდე, 2015 წ.: 1.9%-დან 3.50%-მდე).

15. ვალდებულებები კლიენტების წინაშე

	2017	2016	2015
ფიზიკური პირები			
მიმდინარე/მოთხოვნამდე ანგარიშები	102,611	121,821	104,446
ვადიანი ანაბრები	265,890	191,156	163,843
სულ ვალდებულებები ფიზიკურ პირთა წინაშე	368,501	312,977	268,289
სახელმწიფო და საბიუჯეტო ორგანიზაციები			
მიმდინარე/ანგარიშსწორების ანგარიშები	28,083	136,454	53,268
ვადიანი ანაბრები	4,702	7,147	9,354
სულ ვალდებულებები სახელმწიფო და საბიუჯეტო ორგანიზაციების წინაშე	32,785	143,601	62,623
მეწარმე იურიდიული პირები			
მიმდინარე/ანგარიშსწორების ანგარიშები	371,087	259,220	204,286
ვადიანი ანაბრები	123,384	115,476	134,406
სულ ვალდებულებები მეწარმე იურიდიული პირების წინაშე	494,471	374,696	338,693
სულ ვალდებულებები იურიდიულ პირთა წინაშე	527,256	518,297	401,316
სულ ვალდებულებები კლიენტების წინაშე	895,757	831,274	669,605
გაცემული სესხების აუთვისებელი ნაწილის უზრუნველყოფა	104	1,311	2,618
გაცემული გარანტიების უზრუნველყოფა	12,491	14,656	17,225
აკრედიტივების უზრუნველყოფა	84	–	11,964
აკრედიტივების, აუთვისებელი სესხისა და გაცემული გარანტიების უზრუნველსაყოფად განკუთვნილი ნაღდი ფულის მთლიანი ოდენობა	12,679	15,967	31,807
ანგარიშსწორების ოპერაციების უზრუნველყოფა	510	7,725	509

2017 წლის 31 დეკემბრისთვის 305,127 ლარის ოდენობის ვალდებულებები კლიენტების მიმართ (34.06%) მოდიოდა ათ უმსხვილეს მესამე მხარე მენაბრებზე (2016 წ.: 331,786 ლარი (39.91%), 2015 წ.: 209,765 ლარი (31.33%)).

კლიენტთა ანგარიშების ანალიზი დარგების მიხედვით შემდეგია:

	2017	2016	2015
ფიზიკური პირები	368,501	312,977	268,289
ენერგეტიკა	142,547	71,162	56,662
ვაჭრობა და მომსახურება	96,908	67,883	86,222
ტრანსპორტი და კომუნიკაცია	92,896	112,833	78,882
საფინანსო საქმიანობა	86,663	58,777	42,308
უმრავი ქონების მშენებლობა	40,866	39,042	37,262
სახელმწიფო	32,785	143,601	62,623
წარმოება	18,399	13,009	23,434
განათლება	7,004	4,977	5,774
სოფლის მეურნეობა	1,301	1,238	2,010
სხვა	7,887	5,775	6,139
ვალდებულებები კლიენტების წინაშე	895,757	831,274	669,605

(ათას ლარში)

16. გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები

2016 წლის ივლისიდან ბანკმა დაიწყო სადეპოზიტო სერტიფიკატების გამოშვება. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სავალო ფასიანი ქაღალდები შედგებოდა 27,167 ლარის ოდენობის დისკონტირებული სადეპოზიტო სერტიფიკატებისგან, რომელთა ვადაც 2018 წლის 3 იანვრიდან 2022 წლის 17 დეკემბრამდე მერყეობდა (2016 წ.: 26,006 ლარი, 2017 წლის 9 იანვრიდან 2021 წლის 15 ივნისამდე) და 11,026 ლარის კუპონური სადეპოზიტო სერტიფიკატებისგან, რომელთა ვადაც 2018 წლის 3 იანვრიდან 2022 წლის 31 ოქტომბრამდე მერყეობდა (2016 წ.: 5,684 ლარი, 2017 წლის 3 იანვრიდან 2021 წლის 3 აპრილამდე, 2015: 1,012 ლარი, 2016 წლის 9 მარტიდან 2016 წლის 12 ნოემბრამდე). დასაშვებია სადეპოზიტო სერტიფიკატების თავისუფლად გადაყიდვა ან მესამე მხარისთვის სხვაგვარად გადაცემა ბანკისათვის წინასწარი შეტყობინების გარეშე.

17. სხვა ნასესხები სახსრები

	2017	2016	2015
მშობელი ბანკისგან ნასესხები სახსრები	203,537	79,340	31,827
სებ-ისგან ნასესხები სახსრები	45,393	35,009	47,000
საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებისგან ნასესხები სახსრები	12,377	22,197	32,711
სახელმწიფო ორგანოებისგან ნასესხები სახსრები	1,678	2,476	3,197
სხვა ნასესხები სახსრები	262,985	139,022	114,735

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მშობელი ბანკისგან ნასესხები სახსრებიდან 131,345 ლარი წარმოადგენს ვითიბი უკრაინაში განთავსებული ინვესტიციის დასაფინანსებლად მოპოვებულ თანხებს და ეს ნასესხები სახსრები არ დაიფარება მანამ, სანამ ბანკი არ ამოიღებს ვითიბი უკრაინაში განთავსებულ ინვესტიციას. იხილეთ მე-7 შენიშვნა.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მშობელი ბანკისგან ნასესხები სახსრების დაფარვის ვადები მერყეობდა 2019 წლის ივლისიდან 2022 წლის მაისამდე (2016 წ.: 2017 წლის თებერვლიდან 2021 წლის დეკემბრამდე, 2015 წ.: 2016 წლის თებერვლიდან 2019 წლის სექტემბრამდე) და ერიცხებოდა წლიური საპროცენტო განაკვეთი 3.21%-დან 8.84% მდე (2016 წ.: 2.07%-დან 6.28%-მდე, 2015 წ.: 3.37%-დან 6.28%-მდე). იხილეთ 26-ე შენიშვნა.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოს ეროვნული ბანკისგან ნასესხები 45,393 ლარის (2016 წ.: 35,009 ლარი, 2015 წ.: 47,000 ლარი) ოდენობის სახსრები უზრუნველყოფილი იყო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 42,350 ლარის მთლიანი ნომინალური ღირებულების ფასიანი ქაღალდებით და კლიენტებზე გაცემული 6,709 ლარის მთლიანი ნომინალური ღირებულების სესხებით (2016 წ.: სებ-ისგან ნასესხები სახსრები უზრუნველყოფილი იყო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფასიანი ქაღალდებით, რომელთა მთლიანი ნომინალური ღირებულება იყო 36,900 ლარი, 2015 წ.: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფასიანი ქაღალდები მთლიანი ნომინალური ღირებულებით 9,024 ლარი, საქართველოს ეროვნული ბანკის ფასიანი ქაღალდები მთლიანი ნომინალური ღირებულებით 37,613 ლარი და კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები მთლიანი ნომინალური ღირებულებით 4,289 ლარი). ნასესხები სახსრების ვადები ამოიწურა 2018 წლის იანვარში (2016 წ.: 2017 წლის იანვარი, 2015 წ.: 2016 წლის იანვარი) და დაერიცხა წლიური საპროცენტო განაკვეთი 7.25%-იდან 7.43%-მდე (2016 წ.: 6.7%-დან 8%-მდე, 2015 წ.: 9.5%).

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საერთაშორისო ფინანსური დაწესებულებებისგან ნასესხები სახსრები მოიცავდა თანხებს აშშ დოლარსა და ევროში, რომელთა დაფარვის ვადა მერყეობდა 2018 წლის თებერვლიდან 2032 წლის დეკემბრამდე (2016 წ.: 2017 წლის იანვრიდან 2032 წლის დეკემბრამდე, 2015 წ.: 2017 წლის იანვრიდან 2032 წლის დეკემბრამდე) და ერიცხებოდა საპროცენტო განაკვეთები, რომლებიც მერყეობდა ლიბორი+5%-დან სებ+1.2%-იანი მარჟა+0.13%-იანი TCX სპრედამდე, და ერთ სესხს 0.75%-იანი წლიური საპროცენტო განაკვეთით (2016 წ.: ლიბორი+5%-დან ლიბორი+5.25%-მდე; 0.75%, 2015 წ.: ლიბორის ინდექსს +5%-დან ლიბორის ინდექსს +5.25%-მდე; 0.75%).

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სახელმწიფო ორგანიზაციებიდან ნასესხები სახსრები მოიცავდა საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდისგან ენერგოსექტორის კომპანიების დაფინანსებისთვის მიღებულ თანხებს. ნასესხები თანხები გამოხატულია ევროში, მათი წლიური საპროცენტო განაკვეთია 3% (2016 წ.: 3%, 2015 წ.: 3%), ხოლო დაფარვის ვადა მერყეობს 2018 წლის მაისიდან 2021 წლის ნოემბრამდე (2016 წ.: 2018 წლის მაისიდან 2021 წლის ნოემბრამდე, 2015 წ.: 2018 წლის მაისიდან 2021 წლის ნოემბრამდე).

(ათას ლარში)

18. კაპიტალი**საწესდებო კაპიტალი**

ნებადართული და მთლიანად განაღდებული ჩვეულებრივი აქციების მოძრაობა ასეთია:

	ნებადართული აქციების რაოდენობა	განაღდებული კაპიტალის აქციების რაოდენობა	ნომინალური ოდენობა, ლარში
31 დეკემბერი, 2014 წ.	171,292,701	171,292,701	171,293
სააქციო კაპიტალის გაზრდა	20,000,000	20,000,000	20,000
31 დეკემბერი, 2015 წ.	191,292,701	191,292,701	191,293
31 დეკემბერი, 2016 წ.	191,292,701	191,292,701	191,293
საწესდებო კაპიტალის გაზრდა	17,715,576	17,715,576	17,715
31 დეკემბერი, 2017 წ.	209,008,277	209,008,277	209,008

ბანკის საწესდებო კაპიტალში აქციონერთა მიერ შენატანი ხორციელდებოდა ლარში, შესაბამისად, კაპიტალი უნდა განაწილდეს დივიდენდის ან სხვა სახით მხოლოდ ლარში.

2017 წლის 2 ივნისს აქციონერებმა მიიღეს გადაწყვეტილება ნებადართული აქციების რაოდენობის 17,715,576-ით გაზრდის შესახებ. შესაბამისი ემისიის პროსპექტი 2017 წლის 4 ივლისს დაამტკიცა სებ-მა. ამ აქციებისთვის მიღებული საზღაური შეადგენდა ჯამში 17,715 ლარის ოდენობის ფულად სახსრებს.

2015 წლის 13 ოქტომბერს აქციონერებმა მიიღეს გადაწყვეტილება ნებადართული აქციების რაოდენობის 20,000,000-ით გაზრდის შესახებ. შესაბამისი ემისიის პროსპექტი 2015 წლის 23 ოქტომბერს დაამტკიცა საქართველოს ეროვნულმა ბანკმა. ამ აქციებისთვის მიღებული საზღაური მოიცავდა ნაღდ ფულს 20,000 ლარის ოდენობით. 2016 წლის განმავლობაში საწესდებო კაპიტალში მოძრაობა არ დაფიქსირებულა.

უვადო სუბორდინირებული სესხი

2016 წლის 29 დეკემბერს ბანკმა მიიღო 300,000 რუბლის უვადო სუბორდინირებული სესხი. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, უვადო სუბორდინირებული სესხის საბალანსო ღირებულება იყო 13,481 ლარი (2016 წლის 31 დეკემბერი: 12,900 ლარი). 2017 წლის განმავლობაში ბანკმა გადაიხადა 10 ლარის ოდენობის პროცენტი. უვადო სუბორდინირებულ სესხს ვადა არ აქვს განსაზღვრული და ბანკს აქვს მისი გამოსყიდვის საშუალება. კუპონის განაკვეთი შედგება რუსეთის ცენტრალური ბანკის ძირითად განაკვეთს + 2.5%-ისგან. ბანკს უპირობო უფლება აქვს, სურვილისამებრ გააუქმოს საპროცენტო გადახდები გადახდის თარიღამდე თარიღამდე სესხის გამცემისთვის შეტყობინების გაგზავნით.

დივიდენდები

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, დივიდენდების განაწილება შეიძლება გამოცხადდეს ბანკის აქციონერებისთვის წმინდა მოგებიდან, რომელიც მოცემულია ბანკის მიერ სებ-ის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებულ ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში. სებ-ი უნდა იყოს ინფორმირებული დივიდენდების გამოცხადების შესახებ. იმ შემთხვევაში თუ კომერციული ბანკი არღვევს სებ-ის სარეგულაციო მოთხოვნებს, მას აქვს უფლება შეაჩეროს ან აკრძალოს დივიდენდების გაცემა.

2017 წლის 19 ივნისს ბანკის აქციონერთა ყოველწლიურმა საერთო კრებამ გამოაცხადა 2016 წლის დივიდენდები 17,715 ლარის ოდენობით, ანუ 0.09 ლარი ერთ აქციაზე, სებ-ის მოთხოვნების თანახმად მომზადებული 2016 წლის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე. 2017 წელს აქციონერებისთვის გადახდილი დივიდენდები 17,246 ლარს შეადგენდა.

2016 წლის 22 აპრილს ბანკის აქციონერთა ყოველწლიურმა საერთო კრებამ გამოაცხადა 2016 წლის დივიდენდები 8,231 ლარის ოდენობით, ანუ 0.04 ლარი ერთ აქციაზე, სებ-ის მოთხოვნების თანახმად მომზადებული 2015 წლის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე. 2016 წელს აქციონერებისთვის გადახდილი დივიდენდები 8,013 ლარს შეადგენდა.

(ათას ლარში)

19. პირობითი ვალდებულებები**საოპერაციო გარემო**

საქართველოს ეკონომიკა მცირე ზომის, ღია ეკონომიკაა და ამიტომ მგრძნობიარეა რეგიონული და გლობალური გამოწვევებისადმი. საქართველოს მთავარ სავაჭრო პარტნიორებში ექსპორტის ვარდნამ, ფულადი გადარიცხვების შემცირებასთან ერთად, განაპირობა შემოსავლისა და ქვეყნის შიდა მოთხოვნის კლება, რაც უარყოფითად აისახა სავალუტო კურსზე. ეკონომიკური ზრდის ტემპი რეგიონში ჯერ კიდევ დაბალია, რაზეც გავლენას ძირითადად გლობალური ეკონომიკური ვითარება ახდენს.

თუმცა, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, საქართველოს მთავრობამ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა საბანკო, იურიდიული, საგადასახადო და მარეგულირებელი სისტემების ჩამოყალიბებისათვის საჭირო რეფორმებთან მიმართებაში, რაც ზოგადად პოზიტიურ გავლენას ახდენს საინვესტიციო კლიმატზე. მათ შორისაა ახალი კანონმდებლობის მიღება (2017 წლიდან ახალი საგადასახადო კოდექსისა და პროცესუალური კანონების ჩათვლით).

2017 წელს საქართველოს ეკონომიკამ განიცადა 4.4%-იანი ზრდა (2016 წ.: 2.2%, 2015 წ.: 2.8%), ხოლო ინფლაციის განაკვეთმა 6.7% შეადგინა.

იურიდიული საკითხები

დროდადრო, საქმიანობის ჩვეულებრივი მსვლელობისას ბანკის წინააღმდეგ ხდება სარჩელის აღძვრა. ანგარიშგების დღისთვის ბანკს მიღებული ჰქონდა რამდენიმე სასარჩელო მოთხოვნა. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ შესაძლოა მოხდეს რესურსების გადინება, შესაბამისად წინამდებარე ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში ამისათვის შესაბამისი რეზერვია გამოყოფილი. იხილეთ მე-13 შენიშვნა.

31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის პირობითი ფინანსური ვალდებულებები შედგებოდა შემდეგისგან:

	2017	2016	2015
საკრედიტო ვალდებულებები			
გაცემული გარანტიები	61,672	81,197	79,195
გაცემული სესხების აუთვისებელი ნაწილი	47,136	68,409	67,759
კრედიტის გაცემასთან დაკავშირებული სხვა ვალდებულებები	11,854	8,657	3,535
აკრედიტივები	1,705	1,565	19,861
პირობითი ფინანსური ვალდებულებები (უზრუნველყოფის გამოქვითვამდე)	122,367	159,828	170,350
გამოკლებული – გაცემული აკრედიტივების უზრუნველსაყოფად განკუთვნილი ნაღდი ფული, აუთვისებელი სესხი და გაცემული გარანტიები (მე-15 შენიშვნა)	(12,679)	(15,967)	(31,807)
პირობითი ფინანსური ვალდებულებები	109,688	143,861	138,543
ვალდებულებები საოპერაციო იჯარიდან			
არაუგვიანეს 1 წლისა	1,274	1,250	777
1 წელზე გვიან, მაგრამ არაუგვიანეს 5 წლისა	4,171	4,246	2,766
5 წელზე გვიან	1,179	1,549	901
	6,624	7,045	4,444

(ათას ლარში)

20. წმინდა საკომისიო შემოსავალი

	2017	2016	2015
საკომისიო საანგარიშსწორებო ოპერაციებიდან	10,132	8,657	7,606
საკომისიო გარანტიებიდან და კრედიტთან დაკავშირებული სხვა ვალდებულებებიდან	3,818	3,324	3,524
საკომისიო ნაღდი ფულით შესრულებული ოპერაციებიდან	2,174	2,015	1,620
სხვა	254	260	178
მიღებული გასამრჯელო და საკომისიო	16,378	14,256	12,928
საკომისიო საანგარიშსწორებო ოპერაციებიდან	(7,518)	(6,301)	(5,263)
საკომისიო ნაღდი ფულით შესრულებული ოპერაციებიდან	(1,893)	(1,955)	(1,988)
საკომისიო გარანტიებიდან და კრედიტთან დაკავშირებული სხვა ვალდებულებებიდან	(306)	(824)	(586)
სხვა	(121)	(51)	(71)
საკომისიო ხარჯი	(9,838)	(9,131)	(7,908)
წმინდა საკომისიო შემოსავალი	6,540	5,125	5,020

21. სხვა შემოსავალი

	2017	2016	2015
სესხის პირობების დარღვევების შედეგად მიღებული ჯარიმები	5,041	6,615	5,958
დეპოზიტების ვადაზე ადრე გატანის შედეგად მიღებული ჯარიმები	815	430	418
შემოსავალი საოპერაციო იჯარიდან	426	525	652
ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციის კამპანიაზე დანახარჯების ანაზღაურება	177	141	171
სხვა	109	56	793
სხვა შემოსავალი	6,568	7,767	7,992

22. ხელფასები და სხვა საოპერაციო ხარჯი

	2017	2016	2015
ხელფასები	26,683	25,059	23,695
ბონუსები და პრემიები	11,051	11,692	9,464
თანამშრომლებზე გაწეული ხარჯი	37,734	36,751	33,159
იჯარა და ქირა	3,194	2,852	2,694
მარკეტინგი და რეკლამა	1,950	1,922	2,218
არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია	1,270	569	424
პროგრამული უზრუნველყოფის მხარდაჭერა	1,261	1,545	1,192
ძირითადი საშუალებების ტექნიკური მომსახურებისა და შეკეთების ხარჯი	1,090	911	1,314
იურიდიული და საკონსულტაციო მომსახურება	1,173	650	851
კომუნალური ხარჯები	941	880	771
საოფისე მარაგები	906	961	923
საკომუნიკაციო მომსახურება	831	732	735
წარმომადგენლობითი ხარჯები	738	595	636
საოპერაციო გადასახადები	610	606	405
სამივლინებო ხარჯები	463	485	435
პროფესიული მომსახურების ხარჯები	364	367	415
საბარათო ოპერაციებთან დაკავშირებული სხვა ხარჯები	315	200	449
დაზღვევა	156	169	179
დაცვა-უსაფრთხოება	105	99	94
საქველმოქმედო საქმიანობა	91	85	275
სხვა	248	732	735
სხვა საოპერაციო ხარჯები	15,706	14,360	14,769

(ათას ლარში)

23. რისკის მართვა

ბანკს მოეთხოვება იმ ფინანსური რისკების მართვა, რომელიც წარმოიშობა თავისი პოლიტიკის მიზნების მისაღწევად განხორციელებული საქმიანობის პროცესში და არსებობს ბანკის ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგების მომზადების დროს. ეს რისკები მოიცავს საკრედიტო რისკს, ლიკვიდურობის რისკს და დაფინანსების მართვას, საბაზრო, წინასწარ დაფარვის და საოპერაციო რისკებს.

რისკები დამახასიათებელია ბანკის საქმიანობისთვის, და მათი მართვა ხორციელდება გამოვლენის, შეფასებისა და კონტროლის უწყვეტი პროცესით, რისკების ლიმიტებისა და კონტროლის სხვა მექანიზმების მეშვეობით. რისკის მართვას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ბანკის რენტაბელურობისათვის და ბანკის თითოეული თანამშრომელი პასუხისმგებელია რისკების გამომჟღავნებასა და აღმოჩენაზე თავისი საქმიანობის ფარგლებში.

რისკების კონტროლის დამოუკიდებელი პროცესი არ მოიცავს ისეთ ბიზნეს რისკებს, როგორებიცაა გარემო პირობების, ტექნოლოგიების და ინდუსტრიის ცვლილებების რისკები. მათი კონტროლი ხდება ბანკის სტრატეგიული დაგეგმარების პროცესით.

რისკების მართვის სტრუქტურა

რისკების იდენტიფიკაციასა და კონტროლს ძირითადად ახორციელებს ბანკის დირექტორი, მაგრამ რისკების მართვა და ზედამხედველობა ასევე ხორციელდება ბანკის დამოუკიდებელი ორგანოების მიერ.

სამეთვალყურეო საბჭო

სამეთვალყურეო საბჭო პასუხისმგებელია რისკების მართვის საერთო მიდგომის ჩამოყალიბებასა და რისკების მართვის სტრატეგიებისა და პრინციპების დამტკიცებაზე.

დირექტორთა საბჭო

დირექტორთა საბჭო პასუხისმგებელია ბანკში რისკებთან დაკავშირებული მთელი პროცესის მონიტორინგზე. აქტივებისა და ვალდებულებების მართვის კომიტეტს აკისრია საერთო პასუხისმგებლობა, ჩამოყალიბოს რისკების მართვის სტრატეგია და დანერგოს მასთან დაკავშირებული პრინციპები, წესები, პოლიტიკა და შეზღუდვები. კომიტეტი პასუხისმგებელია რისკის ძირითად საკითხებზე და მართავს და ამოწმებს რისკთან დაკავშირებულ შესაბამის გადაწყვეტილებებს.

რისკების მართვის დეპარტამენტი (რისკის დეპარტამენტი) პასუხისმგებელია რისკებთან დაკავშირებული პროცედურების დანერგვასა და ფუნქციონირებაზე რისკების კონტროლის პროცესის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის მიზნით. 2017 წლის ბოლოსთვის რისკის დეპარტამენტი შემდეგი განყოფილებებისგან შედგებოდა:

- ▶ რისკის ანალიზის განყოფილება;
- ▶ კორპორატიული საკრედიტო რისკის განყოფილება;
- ▶ საცალო საკრედიტო რისკის განყოფილება;
- ▶ საბაზრო და საოპერაციო რისკების განყოფილება;
- ▶ უზრუნველყოფის საგნის შეფასებისა და მონიტორინგის ბანკი;
- ▶ საკრედიტო გარიგებების მონიტორინგის ბანკი.

რისკის კონტროლის განყოფილება

რისკების კონტროლის დეპარტამენტმა ზედამხედველობა უნდა გაუწიოს ბანკის პროცედურების შესაბამისობას რისკების პრინციპებთან, პოლიტიკასთან და ლიმიტებთან. თითოეულ ბიზნეს ბანკს აქვს დეცენტრალიზებული სტრუქტურული ერთეული, რომელიც პასუხისმგებელია რისკების დამოუკიდებელ კონტროლზე, მათ შორის ლიმიტების დარღვევის რისკის მართვაზე და ახალი პროდუქციისა თუ ტრანზაქციის რისკების შეფასებაზე. აღნიშნული დეპარტამენტი ასევე უზრუნველყოფს რისკების სრულყოფილ ასახვას რისკის შეფასებისა და ანგარიშგების სისტემებში.

(ათას ლარში)

23. რისკის მართვა (გაგრძელება)

ხაზინა

ბანკის ხაზინა პასუხისმგებელია ბანკის აქტივებისა და ვალდებულებების მართვაზე. ასევე, ხაზინის ძირითად მოვალეობას წარმოადგენს ბანკის დაფინანსებისა და ლიკვიდურობის რისკის მართვა.

შიდა აუდიტი

ბანკში რისკების მართვის პროცესებს ყოველწლიურად მეთვალყურეობს ბანკის შიდა აუდიტი, რომელიც ამოწმებს პროცედურების ადეკვატურობასა და ბანკის შესაბამისობას პროცედურებთან. შიდა აუდიტი ყველა შეფასების შედეგს განიხილავს ხელმძღვანელობასთან და შედეგებსა და რეკომენდაციებს სამეთვალყურეო საბჭოს აუდიტის კომიტეტის მეშვეობით მოახსენებს.

რისკის შეფასებისა და ანგარიშგების სისტემა

ბანკი რისკები ფასდება ისეთი მეთოდით, რომელიც განიხილავს როგორც ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში მოსალოდნელ დანაკარგს, ისე გაუთვალისწინებელ დანაკარგს, რომელიც წარმოადგენს სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე პროგნოზირებულ რეალურ ზარალს. მეთოდი ალბათობებს იყენებს ისტორიულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, რომლებიც დაკორექტირებულია ეკონომიკური გარემოს გასათვალისწინებლად. ბანკი განიხილავს ყველაზე პესიმისტური სცენარის შესაძლო შედეგებსაც, რაც შეიძლება განვითარდეს ისეთ უკიდურეს პირობებში, რომელთა დადგომა ჩვეულებრივ ნაკლებად სავარაუდოა.

სხვადასხვა ბიზნეს განყოფილებიდან მიღებული ინფორმაციის შემოწმება და დამუშავება ხდება იმისათვის, რომ მოხდეს რისკების აღმოჩენა, ანალიზი და კონტროლი ადრეულ სტადიაზე. ინფორმაცია მიეწოდება დირექტორთა საბჭოს, აქტივ-პასივებისა და რისკების მართვის კომიტეტსა და თითოეული ბიზნეს განყოფილების უფროსს. ანგარიში მოიცავს მთლიან საკრედიტო რისკს, საკრედიტო საპროგნოზო მაჩვენებლებს, ლიკვიდურობის კოეფიციენტებსა და რისკის სტრუქტურაში ცვლილებებს. ყოველთვიურად მზადდება დეტალური ანგარიში, რომელიც შეიცავს ინფორმაციას დარგის, მომხმარებლის და გეოგრაფიული რისკების შესახებ. რისკების მართვის განყოფილება ყოველთვიურად აფასებს სესხებზე შესაძლო დანაკარგების რეზერვის ადეკვატურობას.

ყოველდღიურად დირექტორთა საბჭოს და ბანკის სხვა შესაბამის თანამშრომლებს წარედგინება ინფორმაცია ლიკვიდურობის შესახებ.

რისკის შემცირება

საკრედიტო რისკის შემცირების მიზნით ბანკი იყენებს უზრუნველყოფას (უფრო დაწვრილებით იხ. ქვემოთ).

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ბანკმა განიცადოს ზარალი, თუ მისი კლიენტები ან მონაწილე მხარეები ვერ შეძლებენ სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულებას. ბანკი საკრედიტო რისკს მართავს და აკონტროლებს რისკის მოცულობაზე მისთვის მისაღები ლიმიტის დაწესებით ცალკეული მონაწილე მხარეებისთვის და რისკების ამ ლიმიტებთან შესაბამისობის მონიტორინგით.

საკრედიტო ხასიათის ვალდებულებების რისკი

ბანკი თავის კლიენტებს სთავაზობს გარანტიებს და აკრედიტივებს, რომელთა მიხედვითაც ბანკს შესაძლოა მოუხდეს მათი სახელით გადახდა. ამ თანხების ამოღება კლიენტებისგან ხდება შესაბამისი ხელშეკრულების პირობების მიხედვით. ამ შემთხვევაში, ბანკი დგას სესხის გაცემისთვის დამახასიათებელი რისკების წინაშე, ამ რისკების შემცირება ხდება სესხებზე გამოყენებული პოლიტიკისა და კონტროლის პროცესების შესაბამისად.

ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების კომპონენტების, მათ შორის წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების მაქსიმალურ საკრედიტო რისკს ყველაზე უკეთ ასახავს მათი საბალანსო ღირებულება, ურთიერთგაქვითვის და უზრუნველყოფის ხელშეკრულებებით ამ რისკების შემცირების ეფექტად.

*(ათას ლარში)***23. რისკის მართვა (გაგრძელება)****საკრედიტო რისკი (გაგრძელება)**

თუ ფინანსური ინსტრუმენტები აღრიცხულია სამართლიანი ღირებულებით, საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მიმდინარე საკრედიტო რისკის დონეს და არა მაქსიმალურ დონეს, რომელიც მომავალში შეიძლება წარმოიშვას ღირებულების შეცვლის შედეგად.

საკრედიტო ხარისხი ფინანსური აქტივების კლასების მიხედვით

ფინანსური აქტივების საკრედიტო რეიტინგი იმართება ბანკის შიდა საკრედიტო სარეიტინგო სისტემით.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, იურიდიულ პირებზე (კორპორაციული, მცირე ბიზნესი) გაცემული, არავადაგადაცემული კოლექტიურად შეფასებული სესხები დაყოფილია ქვემოთ წარმოდგენილ სამ ხარისხობრივ ჯგუფად:

- ▶ მაღალი შეფასების მქონე ბანკი მოიცავს მსესხებლებს, რომელთაც აქვთ ლიკვიდურობის მაღალი დონე და შემოსავლისუნარიანობა. სესხის ხელშეკრულების პირობების დარღვევის ალბათობა ასეთ შემთხვევაში დაბალია;
- ▶ სტანდარტული შეფასების მქონე ბანკი მოიცავს მსესხებლებს საშუალო დონის ლიკვიდურობით და შემოსავლისუნარიანობით. სესხის ხელშეკრულების პირობების დარღვევის ალბათობა საშუალო დონისაა;
- ▶ ქვესტანდარტული შეფასების მქონე ჯგუფში გაერთიანებული მსესხებლების ლიკვიდურობა და შემოსავლიანობა დამაკმაყოფილებელია. სესხის ხელშეკრულების პირობების დარღვევის ალბათობა ამ შემთხვევაში საშუალოზე მაღალია.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, ფიზიკურ პირებზე გაცემული, არავადაგადაცემული კოლექტიურად შეფასებული სესხები დაყოფილია ქვემოთ წარმოდგენილ სამ ხარისხობრივ ჯგუფად:

- ▶ მაღალი შეფასების მქონე ბანკი მოიცავს მსესხებლებს, რომელთაც აქვთ კარგი საკრედიტო ისტორია და მყარი ფინანსური მდგომარეობა, დეპოზიტებით და ოქროთი უზრუნველყოფილ სესხებს;
- ▶ სტანდარტული შეფასების მქონე ბანკი მოიცავს მსესხებლებს კარგი/საშუალო საკრედიტო ისტორიითა და მყარი/საშუალო ფინანსური მდგომარეობით;
- ▶ ქვესტანდარტული შეფასების მქონე ჯგუფში გაერთიანებულია სესხები საშუალო საკრედიტო ისტორიითა და ფინანსური მდგომარეობით.

(ათას ლარში)

23. რისკის მართვა (გაგრძელება)**საკრედიტო რისკი (გაგრძელება)**

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს საკრედიტო რისკის მატარებელი აქტივების საკრედიტო ხარისხს:

	შენიშ- ვნები	არც ვადაგადაცილებული და არც ინდივიდუალურად გაუფასურებული			ვადაგადა- ცილებული ან ინდივი- დუალურად გაუფასუ- რებული	
		მდალი შეფასება 2017 წ.	სტანდარტული შეფასება 2017 წ.	სტანდარ- ტულზე დაბალი შეფასება 2017 წ.	სესხები 2017 წ.	სულ 2017 წ.
ნაღდი ფული საკრედიტო ორგანიზაციებში	6	152,440	6,512	–	–	158,952
მოთხოვნები ბანკებისა და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	7	116,432	114,038	–	–	230,470
გასაყიდად გამიზნული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	9	120,670	–	–	–	120,670
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები	8					
კორპორატიული სესხები		111,396	203,795	24,462	11,965	351,618
სესხები მცირე ბიზნესისთვის		201,677	–	4,813	1,677	208,167
სამომხმარებლო სესხები		332,178	26,444	13,144	9,691	381,457
ფიზიკური პირების ანაზრით უზრუნველყოფილი სესხები		9,234	–	–	–	9,234
		654,485	230,239	42,419	23,333	950,476
სხვა ფინანსური აქტივები	13	–	4,838	–	9	4,847
სულ		1,044,027	355,627	42,420	23,341	1,465,415

(ათას ლარში)

23. რისკის მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

	შენიშ- ვნები	არც ვადაგადაცილებული და არც გაუფასურებული			ვადაგადა- ცილებული ან ინდივი- დუალურად გაუფასუ- რებული სესხები	სულ 2016 წ.
		მალაღი შეფასება 2016 წ.	სტანდარტული შეფასება 2016 წ.	სტანდარ- ტულზე დაბალი შეფასება 2016 წ.	2016	
ნაღდი ფული საკრედიტო ორგანიზაციებში	6	110,128	156,782	–	–	266,910
მოთხოვნები ბანკებისა და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	7	142,053	122	–	–	142,175
გასაყიდად გამიზნული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	9	80,459	–	–	–	80,459
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები	8					
კორპორატიული სესხები		91,032	231,314	49,574	26,668	398,588
სესხები მცირე ბიზნესისთვის		195,516	–	4,044	2,664	202,224
სამომხმარებლო სესხები		284,111	25,063	8,499	9,667	327,340
ფიზიკური პირების ანაზრით უზრუნველყოფილი სესხები		5,612	–	–	–	5,612
		576,271	256,377	62,117	38,999	933,764
სხვა ფინანსური აქტივები	13	–	4,401	–	–	4,401
სულ		908,911	417,682	62,117	38,999	1,427,709

(ათას ლარში)

23. რისკის მართვა (გაგრძელება)**საკრედიტო რისკი (გაგრძელება)**

		არც ვადაგადაცილებული და არც გაუფასურებული			ვადაგადაცი ლებული ან ინდივიდუალურად გაუფასურებ ული სესხები 2015	სულ 2015 წ.
		მალალი შეფასება 2015 წ.	სტანდარტული შეფასება 2015 წ.	სტანდარტულზე ე დაბალი შეფასება 2015 წ.		
ნაღდი ფული საკრედიტო ორგანიზაციებში	6	206,891	215	–	–	207,106
მოთხოვნები ბანკებისა და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	7	85,145	90	–	–	85,235
გასაყიდად გამიზნული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	9	55,533	–	–	–	55,533
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები	8					
კორპორატიული სესხები		115,406	107,633	90,864	8,252	322,155
სესხები მცირე ბიზნესისთვის		147,143	–	2,376	2,765	152,284
სამომხმარებლო სესხები		218,209	31,299	6,459	9,115	265,082
ფიზიკური პირების ანაბრით უზრუნველყოფილი სესხები		6,871	–	–	–	6,871
		487,629	138,932	99,699	20,132	746,392
სხვა ფინანსური აქტივები	13	–	804	–	–	804
სულ		835,198	140,041	99,699	20,132	1,095,070

ბანკის პოლიტიკა ითვალისწინებს მთლიანი საკრედიტო პორტფელის რისკების ზუსტ და სისტემატურ შეფასებას. ეს ამარტივებს არსებული რისკების ეფექტურ მართვასა და საკრედიტო რისკის გავლენის შედარებას საქმიანობის ყველა სფეროს, გეოგრაფიული არეალისა და პროდუქტის მიხედვით. რეიტინგის სისტემა დამყარებულია სხვადასხვა ფინანსურ ანალიზზე, აგრეთვე დამუშავებულ საბაზრო მონაცემებზე, რაც წარმოადგენს ერთ-ერთ უმთავრეს აუცილებელ კომპონენტს კონტრაქტის რისკის შეფასებისთვის. რისკის ყველა შიდა რეიტინგი მორგებულია სხვადასხვა კატეგორიებზე და მიიღება ბანკის სარეიტინგო პოლიტიკაზე დაყრდნობით. რისკის რეიტინგები ექვემდებარება მუდმივ შეფასებასა და განახლებას.

ვადაგადაცილებული, მაგრამ არაგაუფასურებული სესხები და ავანსები მოიცავს მხოლოდ იმ სესხებს და ავანსებს, რომლებიც ინდივიდუალურად უმნიშვნელოა. ქვემოთ მოცემული ცხრილი აჩვენებს ვადაგადაცილებული სესხებისა და ავანსების ანალიზს ხანდაზმულობის მიხედვით:

ხანდაზმულობის ანალიზი ვადაგადაცილებულ სესხებზე გარდა ინდივიდუალურად გაუფასურებული სესხებისა, ფინანსური აქტივების კლასიფიკაციის მიხედვით.

(ათას ლარში)

23. რისკის მართვა (გაგრძელება)**საკრედიტო რისკი (გაგრძელება)**

<i>2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</i>	<i>30 დღეზე ნაკლები</i>	<i>31-60 დღე</i>	<i>61-90 დღე</i>	<i>90 დღეზე მეტი</i>	<i>სულ</i>
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები					
კორპორატიული სესხები	1,583	1,118	–	722	3,423
სამომხმარებლო სესხები	4,858	1,163	777	2,893	9,691
სესხები მცირე ბიზნესისთვის	431	371	318	227	1,347
სულ	6,872	2,652	1,095	3,842	14,461

<i>2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</i>	<i>30 დღეზე ნაკლები</i>	<i>31-60 დღე</i>	<i>61-90 დღე</i>	<i>90 დღეზე მეტი</i>	<i>სულ</i>
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები					
კორპორატიული სესხები	20,855	494	694	890	22,933
სამომხმარებლო სესხები	5,482	1,413	1,372	1,121	9,388
სესხები მცირე ბიზნესისთვის	903	507	708	246	2,364
სულ	27,240	2,414	2,774	2,257	34,685

<i>2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</i>	<i>30 დღეზე ნაკლები</i>	<i>31 დღიდან 60 დღემდე</i>	<i>61 დღიდან 90 დღემდე</i>	<i>90 დღეზე მეტი</i>	<i>სულ</i>
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები					
კორპორატიული სესხები	4,474	2,124	97	676	7,371
სამომხმარებლო სესხები	4,835	1,074	551	2,312	8,772
სესხები მცირე ბიზნესისთვის	1,243	589	384	139	2,355
სულ	10,552	3,787	1,032	3,127	18,498

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის სესხი მიიჩნევა ვადაგადაცილებულად, თუ ანგარიშგების დღისთვის მსესხებელს არ განუხორციელებია საკრედიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული არცერთი გადახდა. ასეთ შემთხვევაში შესაბამისი საკრედიტო ხელშეკრულების თანახმად მსესხებლისგან მისაღები მთლიანი თანხა, დარიცხული პროცენტისა და საკომისიოს ჩათვლით, უნდა იქნას აღიარებული ვადაგადაცილებულად.

კლიენტებზე გაცემული სესხებისა და ავანსების გაუფასურება კოლექტიურად შეფასდა. საკრედიტო პორტფელის სესხებზე შესაძლო დანაკარგების რეზერვის შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია მე-8 შენიშვნაში.

რესტრუქტურიზებული ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება კატეგორიების მიხედვით:

ქვემოთ ცხრილში ასახულია ისეთი (რესტრუქტურიზებული და რეფინანსირებული) ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება კლასების მიხედვით, რომელთა პირობებიც გადაისინჯა:

	<i>2017</i>	<i>2016</i>	<i>2015</i>
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები			
კორპორატიული სესხები	6,896	3,920	7,295
სამომხმარებლო სესხები	12,245	9,338	6,535
სესხები მცირე ბიზნესისთვის	4,948	4,622	3,140
სულ	24,089	17,880	16,970

(ათას ლარში)

23. რისკის მართვა (გაგრძელება)**საკრედიტო რისკი (გაგრძელება)***გაუფასურების შეფასება*

გაუფასურების ზარალის აღიარება მოგებაში ან ზარალში მაშინ ხდება, როდესაც იგი გამოწვეულია ერთი ან მეტი მოვლენით, რომელიც დადგა ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ („ზარალის დადგომის შემთხვევა“) და რომელიც გავლენას ახდენს ფინანსური აქტივიდან ან ფინანსური აქტივების ბანკიდან მისაღებ მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელთა საიმედოდ შეფასებაც შესაძლებელია. თუ დადგინდა, რომ ინდივიდუალურად შეფასებული ფინანსური აქტივის (განურჩევლად იმისა, მნიშვნელოვანია ის თუ არა) გაუფასურების ობიექტური საფუძველი არ არსებობს, აქტივის ჩართვა ხდება ფინანსური აქტივების ჯგუფში, რომელსაც ახასიათებს ანალოგიური საკრედიტო რისკები და ამ ფინანსური აქტივების ბანკის შეფასება გაუფასურებასთან მიმართებაში ხდება კოლექტიურად. ფინანსური აქტივის გაუფასურების დადგენისას ბანკი ითვალისწინებს ისეთ ძირითად ფაქტორებს, როგორიცაა კონტრაჰენტების ფინანსური სირთულეები, კონტრაქტის თავდაპირველი პირობების დარღვევა, ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდის დაგვიანება და შესაბამისი უზრუნველყოფის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საიმედოობა.

ინდივიდუალურად შეფასებული რეზერვები

თითოეული ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი სესხისთვის ბანკი ადგენს შესაფერის რეზერვს. რეზერვის ოდენობის განსაზღვრა დამოკიდებულია კონტრაჰენტის ბიზნეს-გეგმის მდგრადობაზე, ფინანსური პრობლემის გამოსწორების შესაძლებლობებზე ფინანსური, დაგეგმილ მისაღებ თანხებსა და მოსალოდნელ დივიდენდებზე გაკოტრების შემთხვევაში, სხვა ხელმისაწვდომ ფინანსურ მხარდაჭერაზე, უზრუნველყოფის რეალიზებად ღირებულებასა და მოსალოდნელი ფულადი ნაკადების დროულობაზე. გაუფასურების ზარალი ფასდება ფინანსური ანგარიშგების შედგენის თითოეული თარიღისათვის, თუ გაუთვალისწინებელი გარემოებები არ მიიქცევა ყურადღებას.

კოლექტიურად შეფასებული რეზერვები

რეზერვების კოლექტიური შეფასების მეთოდი გამოიყენება კლიენტებზე გაცემული იმ სესხებისა და ავანსების შემთხვევაში, რომლებიც არ არის ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი (სამომხმარებლო და მცირე ბიზნესის კრედიტების ჩათვლით) ან ინდივიდუალური მნიშვნელობის მქონე სესხებისათვის, რომლებზედაც არ ფიქსირდება ინდივიდუალური გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება. გაუფასურების რეზერვი ფასდება ფინანსური ანგარიშგების შედგენის თითოეული თარიღისათვის და თითოეული პორტფელი განიხილება დამოუკიდებლად.

გაუფასურების კოლექტიურად შეფასების მიზნით, ფინანსური აქტივები დაჯგუფებულია მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების მიხედვით, კლასიფიკაციის კატეგორიებში. ეს მახასიათებლები მნიშვნელოვანია ასეთი აქტივების ჯგუფების სამომავლო ფულადი ნაკადების გასაანგარიშებლად, რადგან მიანიშნებს დებიტორის უნარზე, გადაიხადოს დავალიანება სრულად შეფასებული აქტივების სახელშეკრულებო პირობების თანახმად.

გაუფასურებასთან მიმართებაში კოლექტიურად შეფასებული ფინანსური აქტივების ბანკის სამომავლო ფულადი ნაკადები განისაზღვრება ამ აქტივებთან დაკავშირებით ხელშეკრულების მიხედვით გაწერილი ფულადი ნაკადების საფუძველზე და აგრეთვე ხელმძღვანელობის გამოცდილებაზე დაყრდნობით იმის შესახებ, თუ რამდენად მოხდება ამ თანხების ვადაგადაცილება წარსულში ზარალის დადგომის შემთხვევებიდან და ვადაგადაცილებული თანხების წარმატებით ამოღების პრაქტიკიდან გამომდინარე. წარსული პერიოდის საფუძველზე მიღებული შეფასება კორექტირდება ამჟამინდელ დაკვირვებად მონაცემებზე დაყრდნობით, რათა გათვალისწინებულ იქნას ამჟამინდელი პირობები, რომლებიც არ მოქმედებდა წარსულ პერიოდებში, და არ იქნას გათვალისწინებული წარსულში არსებული გარემოებები, რომლებიც ამჟამად აღარ არსებობს.

(ათას ლარში)

23. რისკის მართვა (გაგრძელება)**საკრედიტო რისკი (გაგრძელება)**

ბანკის ფინანსური აქტივების და ვალდებულებების გეოგრაფიული კონცენტრაცია მოცემულია ქვემოთ:

	2017				2016			
	საქართველო	ეგთო	დსთ და სხვა უცხო ქვეყნები	სულ	საქართველო	ეგთო	დსთ და სხვა უცხო ქვეყნები	სულ
აქტივები								
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	153,722	31,952	25,968	211,642	106,358	19,530	190,448	316,336
მოთხოვნები ბანკებისა და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	116,302	130	114,038	230,470	141,921	132	122	142,175
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები	924,791	2,678	23,007	950,476	922,465	6,192	5,107	933,764
გასაყიდად გამიზნული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	120,724	–	–	120,724	80,513	–	–	80,513
სხვა ფინანსური აქტივები	3,084	472	1,291	4,847	4,265	–	136	4,401
	1,318,623	35,232	164,304	1,518,159	1,255,522	25,854	195,813	1,477,189

	2017				2016			
	საქართველო	ეგთო	დსთ და სხვა უცხო ქვეყნები	სულ	საქართველო	ეგთო	დსთ და სხვა უცხო ქვეყნები	სულ
ვალდებულებები								
ბანკებისა და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	26,760	–	86,133	112,893	25,247	–	260,928	286,175
ვალდებულებები კლიენტების წინაშე	737,940	35,737	122,080	895,757	693,206	31,470	106,598	831,274
გამომწვეული სავალო ფასიანი ქაღალდები	28,431	104	9,658	38,193	24,646	1,237	5,807	31,690
სხვა ნასესხები სახსრები	47,071	12,377	203,537	262,985	37,486	22,196	79,340	139,022
სუბორდინირებული სესხი	–	–	37,362	37,362	–	–	37,759	37,759
სხვა ფინანსური ვალდებულებები	14,475	442	38	14,955	17,509	–	236	17,745
	854,677	48,660	458,808	1,362,145	798,094	54,903	490,667	1,343,664
წმინდა აქტივები / (ვალდებულებები)	463,946	(13,428)	(294,504)	156,014	457,428	(29,049)	(294,854)	133,525
წმინდა ფინანსური ვალდებულებები	119,867	17	2,483	122,367	157,792	62	1,975	159,829

(ათას ლარში)

23. რისკის მართვა (გაგრძელება)**საკრედიტო რისკი (გაგრძელება)**

	2015			
	საქართველო	გეთო	დსთ და სხვა ქვეყნები	სულ
აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	134,803	57,189	75,784	267,776
მოთხოვნები ბანკებისა და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	84,937	208	90	85,235
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები	738,933	4,146	3,313	746,392
გასაყიდად გამიზნული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	55,587	–	–	55,587
სხვა ფინანსური აქტივები	804	–	–	804
	1,015,064	61,543	79,187	1,155,794
ვალდებულებები				
ვალდებულებები ბანკებისა და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	62,064	–	162,948	225,012
ვალდებულებები კლიენტების წინაშე	578,230	31,216	60,159	669,605
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	4,668	243	331	5,242
სხვა ნასესხები სახსრები	50,197	32,711	31,827	114,735
სუბორდინირებული სესხი	–	–	33,329	33,329
სხვა ფინანსური ვალდებულებები	11,384	–	179	11,563
	706,543	64,170	288,773	1,059,486
წმინდა აქტივები/(ვალდებულებები)	308,521	(2,627)	(209,586)	96,308
წმინდა ფინანსური ვალდებულებები	167,908	84	2,358	170,350

სესხის უზრუნველყოფა

უზრუნველყოფის საგნის საჭირო მოცულობა და ტიპი დამოკიდებულია მსესხებლის საკრედიტო რისკის შეფასებაზე. შემუშავებულია თითოეული ტიპის უზრუნველყოფის საგნის მიღებისა და შეფასების სახელმძღვანელო. ხელმძღვანელობა ამოწმებს უზრუნველყოფის საგნის საბაზრო ღირებულებას და დამატებით უზრუნველყოფას მოითხოვს შესაბამისი ხელშეკრულების მიხედვით. ბანკის პოლიტიკით, დასაკუთრებული უზრუნველყოფის საგნების გაყიდვა რეგულირდება შესაბამისი პროცედურებით. რეალიზაციიდან მიღებული თანხები გამოიყენება აუნაზღაურებელი მოთხოვნების შესამცირებლად ან დასაფარად.

კრედიტის უზრუნველყოფის მისაღები ფორმების სია პერიოდულად გადაისინჯება. ბანკს კრედიტის უზრუნველყოფის თითოეული ფორმისთვის ჩამოყალიბებული აქვს მოთხოვნები. დაგირავებული ქონების ღირებულება განისაზღვრება საბაზრო ფასის საფუძველზე, ლიკვიდურობის მარყის გათვალისწინებით.

უზრუნველყოფა გამოიყენება შეთავაზებული კრედიტის თანხის გასაზრდელად და არა კრედიტის დამტკიცების ერთადერთ მიზეზად. როდესაც ხდება უზრუნველყოფის საგნის მიღება, საჭიროა საკრედიტო განაცხადის ფორმაში ყველა დეტალის, მათ შორის უზრუნველყოფის ტიპის, ღირებულების და მისი გადამოწმების სიხშირის ასახვა. თუ შესაძლებელია, ბანკის წარმომადგენელმა უნდა შეამოწმოს უზრუნველყოფის საგნის ფიზიკური არსებობა.

(ათას ლარში)

23. რისკის მართვა (გაგრძელება)**საკრედიტო რისკი (გაგრძელება)**

ბანკი დაგირავებული ქონების სამართლიან ღირებულებას ხელახლა აფასებს უზრუნველყოფის თითოეული ფორმისთვის დადგენილი სიხშირით და, საჭიროების შემთხვევაში, მოითხოვს დამატებით გირაოს ან კრედიტის უზრუნველყოფის სხვა მისაღებ ფორმებს.

ლიკვიდურობის რისკისა და დაფინანსების მართვა

ლიკვიდურობის რისკი ნიშნავს იმას, რომ ბანკმა ვერ შეძლოს ნორმალურ და სტრესულ ვითარებაში წარმოშობილი ფინანსური ვალდებულებების დროულად დაფარვა. ამ რისკის შეზღუდვის მიზნით, ბანკის ხელმძღვანელობა, ძირითადი სადეპოზიტო ბაზის გარდა, იყენებს დაფინანსების დივერსიფიცირებულ წყაროებს, მართავს აქტივებს ლიკვიდურობის მიხედვით, და ყოველდღიურ ზედამხედველობას უწევს მომავალ ფულად ნაკადებს და ლიკვიდურობას. აღნიშნულ პროცედურებთან ერთად, ფასდება მოსალოდნელი ფულადი ნაკადები და მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა, რომელიც შესაძლებელია საჭიროებისამებრ გამოყენებულ იქნას დამატებითი დაფინანსების უზრუნველყოფისთვის.

ბანკი ფლობს სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების პორტფელს, რომლის უზრუნველყოფითაც საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია სებ-იდან სახსრების მოზიდვა. ბანკი ასევე ფლობს საკრედიტო ხაზებს, რომლებიც შეუძლია გამოიყენოს ლიკვიდურობის მიზნით.

ბანკი აფასებს და ზედამხედველობს ლიკვიდურობის პოზიციას ცალკე აღებული კოეფიციენტის მიხედვით, რომელიც დაწესებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ. 2017 წლის და 2016 წლის 31 დეკემბრისათვის კოეფიციენტები შემდეგი მნიშვნელობებით აღირიცხებოდა:

	2017	2016	2015
ლკ- საშუალო ლიკვიდურობის კოეფიციენტი (ლიკვიდური აქტივების საშუალო თვიური მოცულობა/ვალდებულებების საშუალო თვიური მოცულობა)	40%	44%	32%

2017 წელს საშუალო ლიკვიდურობის კოეფიციენტის მინიმალური ზღვარი იყო 30% (2016 წ.: 30%, 2015 წ.: 30%).

2017 წლის 1 სექტემბრიდან სებ-მა დამატებით შემოიღო ლიკვიდურობის გადაფარვის კოეფიციენტის მინიმალური მოთხოვნა საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკებისთვის. ამ მოთხოვნის თანახმად, ბანკებმა უნდა იქონიონ ლიკვიდური აქტივები, რომელთა გამოყენებასაც შეძლებენ თავიანთი ლიკვიდურობის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად მომდევნო 30 კალენდარული დღის განმავლობაში.

ბანკები ვალდებული არიან, რომ ლიკვიდურობის გადაფარვის კოეფიციენტი შეინარჩუნონ მინიმუმ 100%-ის, 75%-ისა და 100%-ის დონეზე უცხოურ ვალუტაში, ეროვნულ ვალუტაში, და ჯამში, შესაბამისად.

	2017
ლიკვიდურობის გადაფარვის კოეფიციენტი უცხოურ ვალუტაში (მაღალი ხარისხის ლიკვიდური აქტივების ფლობა / სულ წმინდა ფულადი სახსრების გადინება)	158%
ლიკვიდურობის გადაფარვის კოეფიციენტი ეროვნულ ვალუტაში (მაღალი ხარისხის ლიკვიდური აქტივების ფლობა / სულ წმინდა ფულადი სახსრების გადინება)	84%
სულ ლიკვიდურობის გადაფარვის კოეფიციენტი (მაღალი ხარისხის ლიკვიდური აქტივების ფლობა / სულ წმინდა ფულადი სახსრების გადინება)	113%

(ათას ლარში)

23. რისკის მართვა (გაგრძელება)**ლიკვიდურობის რისკი და ფინანსების მართვა (გაგრძელება)**

ფინანსური ვალდებულებების ანალიზი დარჩენილი საკონტრაქტო ვადების მიხედვით

ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკის ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი ხელშეკრულებით გათვალისწინებული არადისკონტირებული დაფარვის ვალდებულებების მიხედვით. დაფარვები, რომლებიც ექვემდებარება შეტყობინებას, აღრიცხულია იმგვარად, თითქმის შეტყობინება დაუყოვნებლივ მოხდა. თუმცა, ბანკი მოელის, რომ შეანაბრეთა უმრავლესობა დაფარვას იმაზე ადრე არ მოითხოვს, ვიდრე ეს ბანკს მოეთხოვება. ცხრილი არ ასახავს მოსალოდნელ ფულად ნაკადებს, რომლებიც გაწერილია ბანკის დეპოზიტების ფლობის ისტორიაში.

არაწარმოებული ვალდებულებები

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	მოთხოვნამდე ან 1 თვემდე	1 თვიდან 3 თვემდე	3 თვიდან 6 თვემდე	6 თვიდან 1 წლამდე	1 წელზე მეტე	სულ
ვალდებულებები ბანკებისა და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	27,342	856	774	42,629	45,800	117,401
ვალდებულებები კლიენტების წინაშე გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	565,850	60,013	91,692	123,097	67,796	908,448
სხვა ნასესხები სახსრები	693	2,270	7,659	14,297	18,310	43,229
სუბორდინირებული სესხი	50,124	5,592	9,142	2,905	227,012	294,775
სხვა ვალდებულებები	772	–	755	1,535	41,098	44,160
სხვა ვალდებულებები	5,559	3,625	4,016	1,669	86	14,955
არაწარმოებული ვალდებულებების სახით გადასახდელი მთლიანი თანხა	650,340	72,356	114,038	186,132	400,102	1,422,968

დაფარული წარმოებული ფინანსური**ინსტრუმენტები, მთლიანი**

წარმოებული ფინანსური

ინსტრუმენტების დადებითი

სამართლიანი ღირებულება

(შემოადინება)

გადინება

დაფარული წარმოებული ფინანსური**ინსტრუმენტები, მთლიანი**

წარმოებული ფინანსური

